დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

სსიპ -ქალაქ რუსთავის N15 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: თამარ მიდელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ნათია ქოქუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ნელი ნაოჭაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მზია შევარდნაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნინო მოლაშხია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ეკატერინე ჟვანია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ლალი აბულაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ლილი კაცაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
ნატო შაინიზე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ რუსთავის N15 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	216297139

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი რუსთავი
იურიდიული მისამართი	მე-8 მიკრო რ-ნი
ფაქტობრივი მისამართი	მე-8 მიკრო რ-ნი
საფოსტო ინდექსი	700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Rustavi15@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 21 14 15

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 23 0000807219
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 17-18 აგვისტო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხური	დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქალაქი რუსთავი მე-8 მიკრო რ-ნი
2	საბაზო საფეხური	საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქალაქი რუსთავი მე-8 მიკრო რ-ნი
3	საშუალო საფეხური	საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქალაქი რუსთავი მე-8 მიკრო რ-ნი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია (ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა), რომლის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ. 17 აგვისტოს ZOOM-ის საშუალებით სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიათან დაკავშირებით, ხოლო 18 აგვისტოს ZOOM-ის საშუალებით კათედრების მიხედვით, საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვასა და შეფასების სისტემებზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
-		

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	**☐შეესაბამება** **☐**მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	**☐შეესაბამება** ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐შეესაბამება **☐მეტწილად შეესაბამება** ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐შეესაბამება **☐**მეტწილად შეესაბამება **☐ნაწილობრივ შეესაბამება** ☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐შეესაბამება **☐მეტწილად შეესაბამება** ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	**☐შეესაბამება** ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	**☐შეესაბამება** ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐შეესაბამება **☐მეტწილად შეესაბამება** ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐შეესაბამება **☐მეტწილად შეესაბამება** ☐ნაწილობრივ შეესაბამება **☐**არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐შეესაბამება **☐მეტწილად შეესაბამება** ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	**☐შეესაბამება** ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☐შეესაბამება** ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	**☐შეესაბამება** ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	**☐შეესაბამება** ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ✓	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 1100	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	სსიპ -ქალაქ რუსთავის მე-15 საჯარო სკოლა მუშაობს ორ ცვლაში, რაც იძლევა საშუალებას, მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვროს 1100 მოსწავლით.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები. კერძოდ, სკოლის მიერ გადმოგზავნილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამისად შეაფასა სტანდარტი N1 (ინდიკატორები - 1.2.1.2. და 1.2.1.3) და ნაწილობრივი შესაბამისობით სტანდარტი N3 (ინდიკატორები - 3.1.2.3. , 3.4.1.1. , 3.5.1.3. , 3.6.3.1., 3.6.3.4., 3.6.3.5).

შესაბამისობით შეაფასა სტანდარტი N2, სტანდარტი N4.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N1		*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*

სტანდარტი N4	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობ* *რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის	სკოლას არ აქვს დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (აქ პროექტი)

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა დამტკიცდება 2023 წლის 15 ოქტომბრამდე,
ინდიკატორი N1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლას არ აქვს დამტკიცებული სამოქმედო გეგმა (აქვს პროექტი). სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცდება 2023 წლის 15 ოქტომბრამდე,

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობ* *რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასებ სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლას შემუშავებული არ აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით N 2-350 (28/09/2023) დამტკიცებული აქვს სკოლაში შეფასების სისტემის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		ვერიფიკაციის მექანიზმი
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	თანამშრომელთა ნაწილს სრულად არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობის, სქესობრივი დანაშაულისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულება 2023 წლის 30 ოქტომბრამდე უზრუნველყოფს იდენტიფიცირებული პედაგოგების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენას.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	1.სკოლამ ვერ წარმოადგინა ცნობა შენობის სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით (წარმოადგინა მიწერილობა). 2.დაწესებულებას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. 3.სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება აღნიშნული საკითხის მოგვარებას უზრუნველყოფს 2024 წლი 15 თებერვლამდე.
ინდიკატორი N3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას არ აქვს პანდუსები (წარმოადგინა მიწერილობა სკოლის პანდუსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით) სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება აღნიშნული საკითხის მოგვარებას უზრუნველყოფს 2024 წლი 8 ივნისამდე.
ინდიკატორი N3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლას არ აქვს ვებ გვერდი სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება აღნიშნული საკითხის მოგვარებას უზრუნველყოფს 2023 წლი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		30 ნოემბრამდე.
ინდიკატორი N3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლას არ აქვს ვებ გვერდი სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება აღნიშნული საკითხის მოგვარებას უზრუნველყოფს 2023 წლი 30 ნოემბრამდე.
ინდიკატორი N3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია.	სკოლას არ აქვს ვებ გვერდი სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება აღნიშნული საკითხის მოგვარებას უზრუნველყოფს 2023 წლი 30 ნოემბრამდე.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N.1.2		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N.3.6		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები	1.შემუშავდეს საგან ,,მე და საზოგადოების“ III კლასის კურიკულუმი 2. საგან ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში სრულად დაიფაროს ყველა სამიზნე ცნება და მათზე გაიწეროს შესაბამისი საკითხი/საკითხთა კლასტერი
ინდიკატორი N2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშავონ წერილობითი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა საგანში.
ინდიკატორი N2.2.1.1.	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	კომპიუტერულ ტექნოლოგიებში - გამოყენებული იქნას დიზაინის სხვა შერჩევის პლატფორმები , მაგალითად canva.com, Free Items - Design Templates ან სხვა. სპორტი - მე-5 დ მე-6 კლასის კურიკულუმებში დაამატონ თემა „მავნე ჩვევების პრევენცია“.
ინდიკატორი N2.2.2.3	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების	კომპიუტერული ტექნოლოგიები - შეიქმნას ჰოლისტური ბუნების შეფასების რუბრიკები აქტივობებიდან გამომდინარე კომპიუტერული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	მხარდაჭერაზე;	ტექნოლოგიების საგანში . მათემატიკასა და ესთეტიკაში - შეიქმნას ყველა თემაზე კონკრეტული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
ინდიკატორი N2.3.1.1.	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	შემუშავდეს კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიის დოკუმენტი სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ფართო ჩარევით; შემუშავდეს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმი.
ინდიკატორი N2.3.2.3.	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;	კომპიუტერული ტექნოლოგიები - ტექნოლოგიები პროცესების მონიტორინგისთვის და შეფასებისთვის გამოყენებული შეიძლება იყოს ანონიმური ანკეტირება, ონლაინ გამოკითხვები
ინდიკატორი 2.4.1.1.	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;	კომპიუტერული ტექნოლოგიები - მომავალი სასწავლო წლისათვის შექმნილ მეთოდოლოგიურ დოკუმენტაციაში (კურიკულუმის მეთოდოლოგიის და ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის დოკუმენტებში) გათვალისწინებული იყოს ჩატარებული სასკოლო კვლევების საფუძველზე სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნა;
ინდიკატორი N2.4.1.2.	კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების	კომპიუტერული ტექნოლოგიები - მონიტორინგის და შეფასების შედეგების ანალიზისთვის გამოკითხვების ან სხვა ინფორმაციის და მონაცემების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	შედეგებს.	შეგროვებისთვის საჭირო აქტივობებზე დაყრდნობით ჩატარდეს კვლევა , კვლევის შედეგები გაზიარდეს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა მხარეებთან და დაიგეგმოს საკონსულტაციო შეხვედრები და შეიქმნას სკოლის სტრატეგიული გეგმის , მისიის და ხედვის , წლიური სასწავლო გეგმის შესაბამისი კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

–

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მისიის მიხედვით ,, სსიპ ქალაქ რუსთავის მე-15 საჯარო სკოლა ემსახურება ინტელექტუალური, შემოქმედებითი, კრიტიკულად მოაზროვნე, დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელსაც აქვს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების, ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრების უნარი, რაც ხელს უწყობს სამოქალაქო ცნობიერების მქონე, აქტიური მოქალაქის აღზრდას".

დაწესებულების ხედვაა მე-15 საჯარო სკოლა გახდეს ქ. რუსთავში ერთ-ერთი საუკეთესო, როგორც აკადემიური მოსწრების, ასევე, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, დამოუკიდებელი, შემოქმედი, კანონმორჩილი, ტოლერანტი პიროვნების აღზრდის თვალსაზრისით.

დაწესებულების ძირითადი ღირებულებებია: სამართლიანობა, თანასწორუფლებიანობა, გუნდურობა და უწყვეტი განვითარებისკენ სწრაფვა. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიით, ხედვით და ღირებულებებით განსაზღვრავს საკუთარ როლს თემისა და საზოგადოების წინაშე,

ზრუნავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებასა და თანამშრომელთა პროფესიულ ზრდაზე. უსაფრთხოებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ სკოლის მანდატურები, ექიმი და სოციალური მუშაკი ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეებთან, მშობლებთან. ხორციელდება შიდა სასკოლო პროექტები ძალადობის, ბულინგის, ეთნიკური მრავალფეროვნების შესახებ. (ფოტო/ვიდეო მასალა ასახულია სკოლის ფეისბუქგვერდზე, სკოლის დერეფნებში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრების ნაწილი). აქტიურად მუშაობს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა, (რომელიც მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს საინტერესო აქტივობებს: საქველმოქმედო, სპორტულ და საინფორმაციო-შემეცნებით ღონისძიებებს). სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მისიისა და ხედვის შესაბამისად შემუშავებულია არაფორმალური განათლების მხარდამჭერი მექანიზმები, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები და სხვა. პერიოდულად ეწყობა მშობელთა და მასწავლებელთა ნახატებისა და ნამუშევრების გამოფენა. **ინდიკატორი1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მისია შემუშავებულია წლების წინ სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, მაგრამ ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა მასალები მისიის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის შესახებ. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე დაგეგმილია მისიის და ხედვის გადახედვა, სამუშაო ჯგუფის შექმნა და სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობა.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

სკოლის თანამშრომლები საგნობრივი კათედრების სხდომებსა და პედაგოგიურ საბჭოზე სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვისას ეცნობიან სკოლის მისიას, დამრიგებლები კლასის და მშობელთა კრებებზე განიხილავენ მისიას.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები იკითხება სასკოლო სასწავლო და სამოქმედო გეგმებში, განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას სკოლის ფოიეში. სადამრიგებლო პროგრამებით გათვალისწინებულია მშობელთა კრებებზე სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობა. სკოლის დირექციასთან ინტერვიუირების დროს დადგინდა, რომ სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები განთავსდება სკოლის განახლებულ ვებ გვერდზე, რაც მეტად გაზრდის საჯაროდ გაზიარების ხარისხს.

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია .

6. სკოლის სახელწოდება - ,,სსიპ ქალაქ რუსთავის N15 საჯარო სკოლა'', შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 ბრძანებით დადგენილ სტატუსს. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი (2023-2030წწ.)
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პროექტი ,,კონფლიქტების მართვა".

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ **შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სკოლაში არის პრაქტიკა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს სკოლის დირექტორი, წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის განვითარების 2023-2030 წწ. სტრატეგიული გეგმის **პროექტი** შვიდწლიანია. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური და მოიცავს სკოლის მისიას და სტრატეგიულ მიზნებს. სტრატეგიული გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებულია სკოლის წინარე გამოცდილება, სვოტ ანალიზის შედეგები და ახალი გამოწვევები. 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის.

აღნიშნულ წლებში სკოლის სტრატეგიული მიმართულებებია:

- ✓ სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება (ახალი პროგრამების შემუშავება,მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა და ა.შ.);
- ✓ ადამიანური რესურსების განვითარება (პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება, საუკეთესო კადრების მოზიდვა, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება);
- ✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება (ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სასწავლო რესურსების განახლება/შევსება, საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრება, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამდიდრება, საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზის განვითარება და სხვა);
- ✓ უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა (საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა,უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება);
- ✓ სასკოლო საზოგადოების სკოლის ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდა (მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა, მშობელთა ჩართულობის გაზრდა, კოლეგიური ორგანოების გააქტიურება და სხვა);
- ✓ მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება(მოსწავლეებისთვის აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდამჭერი სისტემის უზრუნველყოფა, დამატებითი საგანმანათლებლო სერვისების განვითარება, მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა);
- ✓ ორგანიზაციული განვითარება (სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, სკოლის ცნობადობის გაზრდა და სხვა).

სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს ინკლუზიურ და თანამშრომლობით სასწავლო გარემოს, ხელს უწყობს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებას და შეიცავს სკოლის ფილოსოფიასთან თავსებად მიზნებს.

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი დამტკიცდება 2023 წლის 15 ოქტომბრამდე.</u>

ინდიკატორი 1.2.1.2. მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3.სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა და 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის **პროექტი**, რომლის შედგენისას იხელმძღვანელა წინა სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის რეფლექსიით, გაითვალისწინა ახალი გამოწვევები და გამოყო ხუთი ძირითადი მიმართულება:

- ✓ სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარება;
- ✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- ✓ უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- ✓ მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა.

სამოქმედო გეგმაში მოცემულია ამოცანები, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო აქტივობები, შესრულების ვადები და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმის შედგენისას გამოყენებული იქნება ხარისხის მართვისა და ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის, სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშები და შეფასებები.

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდება 2023 წლის 15 ოქტომბრამდე,</u>

ინდიკატორი 1.2.1.3 მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის სამოქმედო გეგმის პროექტი წარმოდგენილია ცხრილის სახით და ასახულია ინდიკატორით მოთხოვნილი ძირითადი ინფორმაციები. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-30 წწ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი;
- 2023-24 სასწავლო წლის სამოქმედო-გეგმის პროექტი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რომლებიც მოიაზრებს დაკვირვების, შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავების მექანიზმებს. სკოლაში არის პრაქტიკა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით (სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს სკოლის დირექტორი და წარუდგენს პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს). თუმცა, დაგეგმვის მეთოდოლოგია არ არის გაწერილი დოკუმენტის სახით.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა წელიწადში ორჯერ ახორციელებდა სტრატეგიული განვითარების (2014-2020 წლების) და სამოქმედო გეგმების (2022-2023 სასწავლო წელი) შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. სკოლამ სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგისა და შეფასების უზრუნველყოფის მიზნით წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში ყველა სტრუქტურული ერთეულის და პასუხისმგებელი პირის ჩართულობით (დირექტორის მოადგილე, პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვა). როგორც დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, სკოლა მუშაობს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის ახალ დოკუმენტზე და წარმოადგინა დოკუმენტის სამუშაო ვერსია.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის სამუშაო ვერსიის თანახმად, ანგარიშის საჯაროობის მიზნით, სკოლა სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და პედაგოგიურ საბჭოს. დამტკიცებული ანგარიშები განთავსდება სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.დოკუმენტაციის გაცნობითა და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარება წარმოდგენილია ციკლურ პროცესად. სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, შუალედური და შემაჯამებელი შეფასების სახით. სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამოქმედო გეგმის პროექტი;
- შუალედური ანგარიშის ნიმუშები - დირექტორის მოადგილის, კათედრის ხელმძღვანელების. დამრიგებლების საქაღალდეები

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐**მეტწილად შეესაბამება**

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ დირექცია (დირექტორი, 1 მოადგილე, 1 ბუღალტერი);
- ✓ ადმინისტრაცია (1საქმისმწარმოებელი, 1მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 1ბიბლიოთეკარი, 1 საინფორმაციო მენეჯერი, 64 მასწავლებელი);
- ✓ ტექნიკური და მომსახურე პერსონალი (1 ექიმი, 5 დამლაგებელი, 2 დარაჯი, 2 ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტი, 1 სსსმ პირის ასისტენტი, 1 ცეცხლფარეში;
- ✓ სამეურვეო საბჭო;
- ✓ პედაგოგიური საბჭო;
- ✓ მოსწავლეთა თვითმმართველობა;
- ✓ დისციპლინური კომიტეტი;
- ✓ მრჩეველთა საბჭო;
- ✓ საგნობრივი კათედრები.

სკოლა სარგებლობს ბრძანებით N1/კ - 80 (20/09/2019), სადაც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების სამუშაო აღწერილობები. სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების/ სტრუქტურულ ერთეულების უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულების თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები სკოლაში რეგულირდება დასაქმებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების რეგულაციები და წესები ხელს უწყობს მიზნობრივი ამოცანების განსაზღვრას, სტრატეგიული მიზნების შესრულებას და ზრდის თანამშრომელთა პასუხისმგებლობას.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამუშაო აღწერილობები;
- შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შრომითი ხელშეკრულებები;
- სამეურვეო საბჭოს და პედსაბჭოს სხდომის ოქმები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით. კერძოდ,

✓ სკოლას დირექტორის მონაწილეობით შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს N3 სხდომაზე (06.09.2019)

დამტკიცებული შინაგანაწესით, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, შრომის პირობების დაცვის წესი. ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, სკოლაში ჩაცმულობის წესი;

✓ სკოლაში ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესით;
✓ თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაქმებულთა შრომითი მომსახურების ხელშეკრულებები და დანიშვნის აქტები ინახება თანამშრომელთა პირად საქმეებში მატერიალური სახით და ატვირთულია Eschool-ის ბაზაში. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის ერთიანი პოლიტიკის მიზნით შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი (ბრძანება N 1/კ - 159. 02/12/2022). ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. განსაზღვრულია ჯგუფის შემადგენლობა და ფუნქცია - მოვალეობები, ხარისხის მართვის ჯგუფის უკუკავშირებისა და თანამშრომელთა თვითშეფასების გათვალისწინებით განისაზღვრება მასწავლებელთა პროფესიულ საჭიროებები (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები, ვებინარები და ა.შ.).

სკოლა მუშაობს ორ ცვლაში და დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სხვა თანამშრომლის მოწვევა.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს თანამშრომელთა შერჩევის წესი, რომლის პრინციპებია: ობიექტურობა, გამჭვირვალობა, საჯაროობა. კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანტური ადგილის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსის ეტაპები. განაცხადი ქვეყნდება მასწავლებლის ვაკანსიის ვებ გვერდზე. თანამშრომელთა მიღება ხდება დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, რომლებიც წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით აფასებენ თითოეულ კანდიდატს.

საკონკურსო მასალების გაცნობით (საკონკურსო სხდომის ოქმებით) დგინდება, რომ გამჭვირვალეა ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი.

თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ნაწილს სრულად არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობის, სქესობრივი დანაშაულისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულება 2023 წლის 30 ოქტომბრამდე უზრუნველყოფს იდენტიფიცირებული პედაგოგების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენას.</u>

ინდიკატორი 3.1.2.3 მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში სულ დასაქმებულია 76 ადამიანი. აქედან, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნების სწავლებისათვის 62 მასწავლებელი. მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად: 1 არის მენტორი, 16 - წამყვანი,38 - უფროსი მასწავლებელი, 2- მაძიებელი, 2 სპეციალური მასწავლებელი, 3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი.

სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს და მოქმედ კანონმდებლობას. შრომითი ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში.

ინდიკატორი 3.1.2.4.დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობას და ნდობას.

საგნობრივ კათედრებზე პედაგოგები ერთობლივად განიხილავენ მნიშვნელოვან საკითხებს და გამოცდილებებს. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავებისა და ერთობლივი პროექტების დაგეგმვაში.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს მასწავლებელთა წარმატებული საქმიანობის გაზიარების პოლიტიკა, რაც ითვალისწინებს შიდა სასკოლო ტრენინგების ჩატარებას, ტუტორების აქტიურ მუშაობას, ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე უკუკავშირის გაზიარებას და სხვა. სკოლის თანამშრომლების მიღწევები პოზიტიური უკუკავშირის სახით განიხილება სამუშაო შეხვედრებზე. სკოლა ახდენს წარმატებული გამოცდილების აღიარებას. მაგ: USAID საბაზისო პროგრამის აქტივობებში/ტრენინგებში მონაწილე ლიდერი მასწავლებლების მიერ ხდება სკოლაში მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შექმნა, ჯგუფების ფასილიტაცია და სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე მიღებული ცოდნისა და გამოცდილების კოლეგებისთვის გაზიარება. (სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი) სასწავლო წლის ბოლოს ხდება სკოლაში მიმდინარე პროცესების შეჯამება და წარმატებული მასწავლებლების ადა მოსწავლეების დაჯილდოება.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- EMIS ამონაწერი;
- საშტატო განრიგი;
- ბრძანებები კონკურსის გამოცხადების შესახებ;
- teachersjobs.ge;
- პირადი საქმეები;
- შინაგანაწესი;
- დირექტორის ბრძანება 1/კ - 54 ვაკანსიის გამოცხადებაზე;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დანიშვნის ბრძანებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐**მეტწილად შეესაბამება**

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით პერიოდულად ახდენს პროფესიული

განვითარების საჭიროებების კვლევას. დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ტარდება შიდა შეფასების გაკვეთილები.პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სკოლა პერიოდულად ახდენს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევას. მაგალითად, მსგავსი კვლევები ჩატარდა დისტანციური სწავლების პირობებში, დისტანციურად მუშაობის პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით. სკოლა თანამშრომლობს და ხელს უწყობს ისეთი პროექტების განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. კერძოდ, USAID საბაზისო განათლების პროგრამაში სკოლა ჩაერთო 2020-2021 სასწავლო წელს.

დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა პერსონალის შეფასების წესი, ხარისხის ჯგუფის პორტფოლიო, მასწავლებელთა რეფლექსიები და სხვა.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. მასწავლებლები შეიმუშავებენ თვითგანვითარების გეგმას და ირჩევენ საჭიროებებიდან გამომდინარე ტრენინგ მოდულებს. გარდა ამისა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტებით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო შემდეგი აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება და მასწავლებელთა გადამზადება და სხვა.

დირექტორის განმარტებით, პერსონალის საჭიროებების კვლევის შემდეგ ხდება მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი, რის შემდეგაც იკვეთება პრიორიტეტული საკითხები.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის 7 წლიანი და სამოქმედო გეგმის პროექტების სტრატეგიული მიმართულებაა ადამიანური რესურსების

განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნით დაგეგმილია პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება, აკადემიურ კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრის მოზიდვა. 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაწერილია მასწავლებლებთან თემატური შეხვედრების საკითხები (მაგ. კომპლექსური დავალებები, გამოცდილების გაზიარება, კათედრებს შორის ინტეგრირებული თანამშრომლობა და სხვა). სკოლაში მასწავლებელთა მხარდამჭერი აქტივობები ხელს უწყობს მასწავლებელთა კარიერული წინსვლის შესაძლებლობას. როგორც დირექტორმა აღნიშნა, სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი პერსონალის კარიერული განვითარებისათვის. კერძოდ. სკოლის ფეისბუქ გვერდზე თავსდება ინფორმაცია დაგეგმილი აქტივობებისა და ტრენინგების შესახებ, სკოლას ჰყავს მაძიებლის სტატუსით 2 პედაგოგი. მათ წინსვლაში დახმარებას უწევს ტუტორი მასწავლებელი. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში შემოსული მეთოდური ლიტერატურის ჩამონათვალი გამოკრულია პედაგოგებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას (ბიბლიოთეკაში). USAID - ის საბაზისო პროგრამის ფარგლებში აქტიურად ხდება გაკვეთილებზე დაკვირვება და რეფლექსია. TOMP - ის ექსპერტებთან ერთად გაკვეთილებს ესწრებიან ხარისხის ჯგუფის წევრები, განიხილავენ გაკვეთილს და აკეთებენ რეფლექსიას.

სკოლის სხვა პერსონალთან ნაკლებად დგინდება მათი პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები, მაგრამ სამომავლოდ, სკოლა სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, გეგმავს ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიზნით.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას საკადრო პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავებული არ აქვს. დოკუმენტურად არ არის გაწერილი, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების ახალი წევრის ადაპტაციის პროცესი. დირექტორთან ინტერვიუირებით დგინდება, რომ ახალი თანამშრომლის წარდგინება მოხდება სკოლის დირექტორის მიერ შესაბამის კათედრაზე ან სასკოლო საზოგადოებასთან (პოზიციის შესაბამისად), კლასის დამრიგებელი ახალ მასწავლებელს აცნობს მოსწავლეებს, მშობლებს და სხვა.

საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს პირადი საქმეების შედგენას, შრომითი ხელშეკრულების 2 (ორი) ეგზემპლარად გამზადებას, საინფორმაციო მენეჯერი უზრუნველყოფს საინფორმაციო მართვის სისტემაში რეგისტრაციას, უხსნის ელექტრონულ ფოსტას eflow - ში და აცნობს მოხმარების წესს. ბუღალტერი უზრუნველყოფს პარტნიორ ბანკში საბანკო ანგარიშის გახსნას და აწვდის ინფორმაციას ხელფასის დაანგარიშების და გაცემის წესის შესახებ.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლში. სკოლა გამოიყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N1/კ -159 ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სამოქმედო გეგმის პროექტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მასწავლებელთა საჭიროების კვლევის ცხრილი;
- მასწავლებლის რეფლექსია რემედიაციაზე;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმის ნიმუშები;
- ბრძანება N1/კ 145 ტუტორის დანიშვნის შესახებ;
- ტუტორის რეფლექსია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობის მართვისთვის სასწავლო წლის დასაწყისში ადმინისტრაციის, საგნობრივი კათედრების, ხარისხის მართვის ჯგუფის ჩართულობით და შედეგების ანალიზის გათვალისწინებით შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას და სკოლის სამოქმედო გეგმას. მონიტორინგის ეტაპზე სკოლა იყენებს გაკვეთილზე დაკვირვების, სადიაგნოსტიკო წერების, სასკოლო შემაჯამებელი დავალებების ანალიზების, წლიური გამოცდების შედეგებს, დამრიგებელთა და კათედრის თავმჯდომარეების და სხვა პასუხისმგებელი პირების ანგარიშებს. შედეგების გათვალისწინებით, სვოტ ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს შემდეგი სასწავლო წლის საქმიანობას (სასკოლო სასწავლო გეგმა, სამოქმედო გეგმა, სტრუქტურული ერთეულების სამუშაო გეგმები).

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში: სასკოლო კურიკულუმში, შინაგანაწესში, სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობებში, თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის მმართველობითი და დამხმარე პროცესები. დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულია სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული. დირექციის და საგნობრივი კათედრების მონაწილეობით ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება, კათედრები საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით ახორციელებენ სასწავლო პროცესს. საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგში აქტიურადაა ჩართული ხარისხის განვითარების ჯგუფი. პროცესზე დაკვირვების შედეგად ხდება საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირება.

აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას. სკოლის სტრუქტურაში და დებულებებში მკაფიოდ და ნათლადაა გაწერილი კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჩივრის განხილვის წესი, მასწავლებლის დისციპლინური წარმოება, მოსწავლის დისციპლინური წარმოების წესი, ,,ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის“ და სხვა.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა თანამშრომელს, მოსწავლეს, მშობლს, კანონიერ წარმომადგენელს აძლევს გასაჩივრების უფლებას. საჩივრების ეფექტიანად და მიუკერძოებლად განხილვის მიზნით შექმნილია დისციპლინური კომიტეტი (მასწავლებლის, მშობლისა და მოსწავლის შემადგენლობით), განსაზღვრულია საქმიანობის მიზანი: სკოლაში დისციპლინური გადაცდომების და კონფლიქტების შემცირება, ძალადობის პრევენცია, დამრღვევი და დაზარალებული მხარეების შერიგება, ინციდენტით გამოწვეული ემოციური და მატერიალური შედეგების გამოსწორება, სამართლიანობის აღდგენა. განსაზღვრულია საჩივრის დაფიქსირების, მიღებისა და განხილვის წესი.

სასწავლო წლის დასაწყისში, მშობლებსა და მოსწავლეებს კრებებზე, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლის შინაგანაწესის მიხედვით შესასრულებელი რეგულაციების, მოვალეობებისა და უფლებების შესახებ (შინაგანაწესი, თავი 11,12).

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე, სკოლაში განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის მომზადება-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგი დაცვის მიზნით შექმნილია მრჩეველთა საბჭო.

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ბრძანება N 1/კ -159 ხარისხის ჯგუფის შექმნაზე;
- ბრძანება N1/კ - 129 გახანგრძლივებული სწავლების შესახებ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მშობელთა კრების ოქმი N1;
- ბრძანება N 2-20,პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;
- ბრძანება N 2-16, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო საზოგადოების ინფორმირების საშუალებებად გამოყენებული აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებები. სკოლა აქტიურად სარგებლობს office 365 - Outlook, OneDrive, Teams, Forms-ით) და სოციალურო გვერდ Facebook-ით. მნიშვნელოვანი სასკოლო დოკუმენტების შემუშავების, განხილვისა და გაზიარების მიზნით სკოლას Teams -ის პლატფორმაზე შექმნილი აქვს თითოეული საგნობრივი კათედრის სამუშაო ჯგუფი.
მასწავლებლები და სკოლის თანამშრომლები სიახლეებს ეცნობიან სკოლის ფეისბუქ გვერდით, სამუშაო შეხვედრებზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და სხვა.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდის მიზნით ფუნქციონირებს სამეურვეო და პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. იქმნება დროებითი სამუშაო ჯგუფები, რომლებშიც გაერთიანებულია სასწავლო პროცესის მონაწილე ყველა სეგმენტის წარმომადგენელი. შემუშავებულია თითოეული რგოლის დებულებები, რომლებშიც გაწერილია მათი ფუნქციები, არჩევის წესი,უფლებამოსილებე ბი და ა.შ. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, პერიოდულად ხდება მშობელთა გამოკითხვები. მშობელთა აქტიური ჩართულობა დადებითად აისახება სასკოლო ცხოვრებაზე. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქტიურად დაინერგა მშობელთა კრებების ჩატარება ონლაინ ფორმატში, შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლის დღე(ღია კარის დღე), ყველა კლასს აქვს გვერდი სოციალურ ქსელში, რომელშიც გაწევრიანებულები არიან შესაბამისი კლასის მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მშობელთა კრების ოქმი N1;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი N1;

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ **შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის, საგანგებო სიტუაციებში რეაგირების და პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი მექანიზმები:

- 24 საათიანი დაცვა (დარაჯი და მორიგე დამლაგებლები, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას უზრუნველყოფენ სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს);
- უზრუნველყოფილია სკოლაში ვიზიტორთა აღრიცხვა;
- შემუშავებული და დამტკიცებულია უსაფრთხოების დებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის რეგულაციები;
- შექმნილია საგანგებო რეაგირების შტაბი და გაწერილია შტაბის წევრების ფუნქციები;
- განსაზღვრულია სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
- სკოლის ტერიტორია შემოღობილია;
- სკოლის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 2 ვიდეო კამერა, რომელიც სრულად ვერ უზრუნველყოფს სკოლის შენობის და ტერიტორიის სრულ კონტროლს;
- ვიდეო ჩანაწერის ჩვენება ხდება მონიტორზე, რომლის მუშაობას მუდმივად აკვირდება სპეციალურად გამოყოფილი პირი - მანდატური.
- **პირველადი დახმარების** აღმოჩენის მიზნით შემუშავებულია პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დოკუმენტი. სკოლის პირველ სართულზე განთავსებული ექიმის კაბინეტი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა დაცულია. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სკამები, შირმა, მაცივარი, სასწორი, საათი, სამედიცინო ტახტი, კარადა, გადასატანი/მობილური ტახტი, კარადა, სადაც განთავსებულია პირველადი მოხმარების მედიკამენტების მცირე ნაწილი, ელექტრო და მექანიკური სამედიცინო ინვენტარი. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი.
- **ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების** დაცვის მიზნით, ყველა სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (მათ შორის 10 ერთეული ცეცხლმაქრი, ყველა ცეცხლმაქრზე დატანილია გადამუხტვისა და მოქმედების ვადები), სკოლას აქვს საევაკუაციო გასასვლელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2017-2019 წლებში სკოლას ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 7 აგვისტოს მიწერილობა ათასწლეულის გამოწვევის ფონდ -საქართველოსთან **შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების შესახებ დასკვნის გადმოგზავნასთან დაკავშირებით.**

დაწესებულებას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, მაგრამ ქალაქ რუსთავის რესურსცენტრთან 2023 წლის 31 მარტის მიწერილობის საფუძველზე დასტურდება სკოლის სურვილი, აღნიშნული პრობლემის დროულად მოგვარებასთან დაკავშირებით.

1.სკოლამ ვერ წარმოადგინა ცნობა შენობის სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით (წარმოადგინა მიწერილობა).

2.დაწესებულებას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

3.სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების შესახებ.

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება აღნიშნული საკითხის მოგვარებას უზრუნველყოფს 2024 წლის 15 თებერვლამდე.</u>

ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური. დაწესებულებას ჰყავს 3 მანდატური. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, დისციპლინური დევნა და დისციპლინური წარმოების წესი. სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ მიხედვით შექმნილია მრჩეველთა საბჭო.

ინდიკატორი3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მუშაობს სსიპ მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკი, რომელიც შეისწავლის მოსწავლეთა საჭიროებებს და ადგენს მოწყვლადობის დოკუმენტს, პრობლემების გამოკვეთისას მუშაობს მოსწავლეებთან, დამრიგებლებთან, მშობლებთან. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია მოსწავლეთა რეფერირების წესი და შერჩეულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს ამისამართებს მანდატურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამსახურის ფსიქოლოგთან. სკოლაში სწავლობს 17 სსმ მოსწავლე, რომელთა სასწავლო პროცესში ჩართულობასა და ქცევის მართვაზე ზრუნავს 3 სპეციალური მასწავლებელი და 3 ასისტენტი. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კლასის საათის თემები ითვალისწინებს მოსწავლეებში ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე ზრუნვას. სკოლის ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობილი ეზო, დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციას.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვისთვის სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ამ მიზნით შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის დებულება.
ყველა სართულზე ცალ-ცალკე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის.
სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, არის ონკანები, ნიჟარები.
სველი წერტილი მომარაგებულია თხევადი საპნითა და ხელის საშრობი ქაღალდის დისპანსერებით, ურნებით.
გაწერილია სკოლისა და ეზოს დალაგება-დასუფთავების განრიგი. სკოლას ემსახურება 5 დამლაგებელი. ისინი ანგარიშვალდებულები არიან სკოლის დირექტორთან და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორთან.
სკოლის სანიტარულ - ჰიგიენური მდგომარეობას კონტროლს უწევს სკოლის ექიმი.
სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახები.
საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად, ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში.

ინდიკატორი 3.4.1.4.დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას დოკუმენტად შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს და განსაზღვრავს მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირებსა და მათ უფლება-მოვალეობებს. დირექტორის ბრძანებით N2-30, შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და განსაზღვრულია აღნიშნულ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პრინციპები. თანამშრომელთა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა პირადი საქმეებზე, ხელშეკრულებებზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, სკოლის ელექტრონულ ფოსტას მართავს საინფორმაციო მენეჯერი. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. ელექტრონული ჟურნალის მონაცემებზე წვდომა აქვს სკოლის დირექტორის მოადგილეს. საინფორმაციო მენეჯერი, პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტური მუშაობაზე,

ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია.

7. სკოლა მანდატურების დახმარებით ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებას. სკოლა თვითმმართველობის დახმარებით გეგმავს მოსწავლეთა შორის ძალადობის და ბულინგის მართვას.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები: ექიმთან, საინფორმაციო მენეჯერთან, დარაჯებთან, დამლაგებლებთან;
- ექიმის სარეგისტრაციო ჟურნალი;
- ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალი;
- ბრძანება N1/კ - 80 უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;
- ბრძანება N1/კ - 103 სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ;
- ბრძანება N1/კ - 02 საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- ბრძანება N 2-30 პერსონალურ მონაცემთ დაცვის წესი;
- ბრძანება N 1/კ -02 სკოლაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პრაქტიკულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პრაქტიკულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება N2-302 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება ელექტრონულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- ბრძანება N 1/კ - 109 სკოლაში მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ვიდეოკამერების შესყიდვის ხელშეკრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐შეესაბამება

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის სკოლას აქვს

შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი. საჯარო რეესტრის ამონაწერით (22/11/2022) სსიპ რუსთავის N15 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს ქალაქ რუსთავში, დაზუსტებული ფართობია 14 328 კვ.მ. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. შენობა-ნაგებობების საერთო ფართია 2179 კვ.მ (საქვაბე - 33 კვ.მ).
ამჟამად სკოლაში სწავლობს 966 მოსწავლე.
სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, 35 საკლასო ოთახი. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, მასწავლებლის მაგიდებით, დაფებით. სკოლის ინვენტარი აკმაყოფილებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N572 (09/08/2011) ბრძანებით დამტკიცებულ რეკომენდაციებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე.
სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რესურსით(კოლბები, მულაჟები, მიკროსკოპები, მაგნიტები და სხვა) ლაბორატორია განთავსებულია პირველ სართულზე და აღჭურვილია სველი წერტილებით და გამწოვით, მოსწავლეებს ქიმიის და ბიოლოგიის გაკვეთილების ექსპერიმენტული ნაწილი უტარდებათ ლაბორატორიაში.
ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ნათელი საკლასო ოთახების გარდა, სკოლაში არის სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო და სხვა. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია 28 ერთეული ინტერნეტის მუდმივ ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერით, გაწერილია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი. საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის შექმნილია ყველა ძირითადი პირობა, და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.
ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. ეტლით მოსარგებლე პირს შეუძლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ერთ-ერთი შესასვლელით ისარგებლოს. პირველ სართულზე ფუნქციონირებს რესურს ოთახი და ადაპტირებული საპირფარეშო (რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილების - ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის"-27-ე მუხლის მოთხოვნებს). დირექტორმა წარმოგვიდგინა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსადმი 2023 წლის 31 მაისის მიწერილობა სკოლაში პანდუსების მოწყობასთან დაკავშირებით, მაგრამ ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ჰქონდა ეს საკითხი მოგვარებული. <u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება აღნიშნული საკითხის მოგვარებას უზრუნველყოფს 2024 წლის 8 ივნისამდე.</u>

ინდიკატორი 3.5.1.3. მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4.შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. დერეფნები, სკოლის ეზო, ღია სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. კერძოდ, კომპიუტერები და პრინტერები განთავსებულია კომპიუტერების ლაბორატორიაში, სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის ოთახებში. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, გაწერილია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები (რაც ხელს უწყობს არაფორმალური განათლების განხორციელებას). ბიბლიოთეკაში არის 2218 ერთეული მხატვრული ლიტერატურა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მეთოდური ლიტერატურა 296 ერთეული და 15.428 ერთეული გრიფირებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერი. სკოლის წიგნადი ფონდი დამუშავებულია და გატარებულია ელექტრონულ პროგრამაში Open Biblio.
საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების განხორციელებისთვის სკოლას აქვს შესაბამისი რესურსი - კეთილმოწყობილი ლაბორატორია.

ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐შეესაბამება

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. სკოლას აქვს 39 პერსონალური კომპიუტერი და 42 ნოუთბუქი. სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის როგორც საგაკვეთილო დროს,ისე გაკვეთილების შემდეგ. ნოუთბუქების ნაწილი გადაცემული აქვს მასწავლებლებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. სკოლა აღჭურვილია პრინტერებით და ქსეროქსის აპარატებით. რომლით სარგებლობა შეუძლიათ საინფორმაციო მენეჯერის დახმარებით მასწავლებლებს და მოსწავლეებს. სკოლას აქვს 8 პროექტორი.საკლასო ოთახების ნაწილში განთავსებულია ტექნიკა, რაც სკოლა ხელს უწყობს სხვადასხვა ელექტრონული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პლატფორმის (office 365, Teams, Forms, Gmail, Messenger, Facebook, ელექტრონული ჟურნალი) მიზნობრივი გამოყენების უნარის განვითარებას. შემუშავდა სკოლის ციფრული განვითარების სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის პერსონალი IT ინფრასტრუქტურას აქტიურად იყენებს. იგეგმება გაკვეთილები პროექტორის და სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით. დაწესებულება უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების კომპიუტერებითა და შესაბამისი მომსახურებით ხელმისაწვდომობას. სკოლაში არის საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, შემუშავებულია კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი და განრიგი. შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით სკოლა ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენ მასწავლებელსა და მოსწავლეს არ აქვს სახლში კომპიუტერული ტექნიკა და განსაზღვრულია ხელშეწყობის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი;
- საზიარო სივრცეების სამოქმედო გეგმა;
- ციფრული განვითარების სამოქმედო გეგმა.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები, რომლებიც აკინძული, ზონარგაყრილი, დანომრილი, დალუქული და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის ხელმოწერით. აღნიშნულ საქმიანობას უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.
ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა ასევე იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას, კერძოდ, აწარმოებს შემოსული და გასული

დოკუმენტაციის რეგისტრაციას ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის სისტემის (e-flow) მეშვეობით. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში. სკოლას, ასევე, აქვს ელექტრონული ფოსტა rustavi15@mes.gov.ge რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას.
ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი მართვის საინფორმაციო სისტემაში. აქვს საკუთარი e-school ის მონაცემები, სადაც სისტემატურად ხდება სკოლის, მოსწავლეთა და თანამშრომელთა მონაცემების განახლება.
ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ დოკუმენტურად ვერ წარმოადგინა საქმისწარმოების ერთიანი წესი (წარმოადგინა რამდენიმე ნაწილად). ანგარიშგებისა და შემოსულ კორესპონდენციებზე რეაგირების პერიოდები და პროცედურები დაცულია.
ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- სკოლის ელექტრონული ფოსტა;
- ბრძანებების საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სოციალური ქსელის (ფეისბუქ) გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. იტვირთება მიმდინარე პროცესების ამსახველი ფოტო და ვიდეო რესურსები, რომელიც ხელმისაწვდომია, სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. **სკოლას არ აქვს ვებ გვერდი.**

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება აღნიშნული საკითხის მოგვარებას უზრუნველყოფს 2023 წლის 30 ნოემბრამდე.</u>

ინდიკატორი 3.6.3.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების ადმინისტრირება ხორციელდება კონკრეტული პირის მიერ. კერძოდ, საინფორმაციო მენეჯერის მიერ. დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ გავრცელებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, ჯილდოების და სხვა სახის აქტივობების შესახებ შეთანხმებულია დირექციასთან და არის სანდო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების მიერ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად ძირითადად გამოყენებულია Forms-ის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია. სკოლა გეგმავს ელექტრონული რეიტინგული გამოკითხვების, მოსაზრებების ან სხვა აქტივობების სტატისტიკის ანალიზის პრაქტიკის დანერგვას და მიღებული უკუკავშირის გამოყენებას საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას არ აქვს მოქმედი ვებ გვერდი.

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება აღნიშნული საკითხის მოგვარებას უზრუნველყოფს 2023 წლის 30 ნოემბრამდე.</u>

ინდიკატორი 3.6.3.4. მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას არ აქვს მოქმედი ვებ გვერდი.
   <u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება აღნიშნული საკითხის მოგვარებას უზრუნველყოფს 2023 წლის 30 ნოემბრამდე.</u>

ინდიკატორი 3.6.3.5. მეტწილად დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის სოციალური გვერდი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐**მეტწილად შეესაბამება**

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის განმარტებით, სამოქმედო გეგმის შესყიდვების ნაწილი შედგენილია სკოლის ფინანსების გათვალისწინებით. ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად.
ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს, ისე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. სკოლას ამ ეტაპზე აქვს იჯარით გაცემული სააქტო და სპორტული დარბაზი, სკოლის შენობის ნაწილი.

3.7.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. ბიუჯეტური პროცესების მართვაში მონაწილეობს დირექტორი და სკოლის ბუღალტერი. სკოლის ბიუჯეტი იგეგმება გასული წლის შედეგების და გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით. ბიუჯეტის პროექტი წარედგინება სამეურვეო საბჭოს, რომელიც წარმოდგენილ ბიუჯეტს განიხილავს და ამტკიცებს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე.

ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- შესყიდვების გეგმა;
- ანგარიში ფინანსური საქმიანობის შესახებ.

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სასწავლო პროცესის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები ითვალისწინებს მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას, სკოლის მართვაში ჩართულობას, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ინფორმირებულობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები და გარანტიები დაცული და უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით შექმნილია მრჩეველთა საბჭო. გაწერილია მოსწავლეთა რეფერირების წესი. დირექტორის ბრძანების შესაბამისად დაცულია მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები. მოსწავლეთა უსაფრთხოებას განისაზღვრება სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესით. სკოლაში აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა.

ინდიკატორი 4.1.1.1.დაკმაყოფილებულია.

2. სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე და კლასის საათებზე სკოლა უზრუნველყოფს შინაგანაწესით გათვალისწინებული მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, წახალისებისა და დისციპლინური დევნის რეგულაციების გაცნობას, საკლასო წესების შემუშავებას. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაშია მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი. მოსწავლის უფლების დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციისა და აღნიშნული სტრუქტურების მიერ ხდება მყისიერი რეაგირება. შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. აღნიშნულის შესახებ მოსწავლეები

ინფორმირებულნი არიან კლასის დამრიგებლის მიერ სადამრიგებლო საათის ფორმატში. საჯაროდ განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია პირებისა და ორგანოების, რომლებიც უზრუნველყოფენ რეაგირებას უფლების დარღვევის შემთხვევაში. სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს არ ყოფილა დისციპლინური წარმოების ან გასაჩივრების შემთხვევები. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

ინდიკატორი 4.1.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო წლის დასაწყისში ხდება ხელშეკრულებების გაფორმება მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, რომლის ერთი ასლი ინახება სკოლაში, ხოლო მეორე- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან.

ამ ეტაპზე ხელშეკრულებები გაფორმებულია მხოლოდ (I – VI) კლასების მოსწავლეთა მშობლებთან და სკოლა გეგმავს ხელშეკრულებების გაფორმებას ყველა კლასის მოსწავლის მშობელთან.

ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა ქცევის კოდექსი;
- მშობელთა კრების ოქმები;
- ხელშეკრულებები სკოლასა და მშობელს შორის;
- რეფერირების წესი.

4.1.2.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. კლასისა და საფეხურის დაძლევა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით. საინფორმაციო მენეჯერი პასუხისმგებელია აწარმოოს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა (პირველკლასელთა რეგისტრაცია, მოსწავლეთა მობილობა, სტატუსის შეჩერება/აღდგენა და ა.შ).

ინდიკატორი 4.1.2.1.დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის ვადების დაცულია. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. მოსწავლეები სკოლაში ირიცხებიან ასაკის შესაბამისად მობილობის ვადების დაცვით, მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე.
საფეხურის დაძლევის საკითხი განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და ფორმდება დირექტორის ბრძანებით. სტატუსის შეჩერება-შეწყვეტა ხორციელდება კანონმდებლობის დაცვით, ასევე, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების და მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი.მაგალითად, FORMS _ის საშუალებით სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა მე-4 კლასის მოსწავლეთა მშობლებთან გამოკითხვა მეორე უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით. პირველი - მეექვსე კლასების მოსწავლეთა მშობლების წერილობითი განცხადების საფუძველზე (მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება) საფუძველზე შეიქმნა გახანგრძლივებული მეცადინეობის წრე და სხვა.

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა ცდილობს მისი, ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებადი და არადისკრიმინაციული (მაგ: სკოლაში სასკოლო გეგმით განსაზღვრულია სემესტრული (ნიშნის ასამაღლებელი) გამოცდის პროცედურები და ვადები, რის შესახებაც მოსწავლეები, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებულნი არიან კლასის დამრიგებლის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობისას).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საინფორმაციო დაფებსა და სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია აღწერს მომსახურების პირობებს, დაცულია საკანონმდებლო მოთხოვნები და შეიცავს არადისკრიმინაციულ შინაარსს.

ინდიკატორი 4.1.2.4.დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები მშობელთან:
- დამრიგებლის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐**შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, კერძოდ: მომავალი პირველკლასელებისთვის სასკოლო გარემოს გაცნობის მიზნით დამამთავრებელი ჯგუფის აღსაზრდელების სტუმრობა სკოლაში. ახალი მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით განსაზღვრულია მშობლის კონსულტირება, მობილობით გადმოსულ მოსწავლესთან გასაუბრება, დამრიგებლის ჩართულობით კლასში მოსწავლის წარდგენის რიტუალი, სკოლის ინფრასტრუქტურის, სასკოლო საზოგადოების, შინაგანაწესით განსაზღვრული წესების გაცნობა. საზღვარგარეთის ქვეყნებიდან გადმოსულ მოსწავლეებს ხელს უწყობს დაძლიოს პროგრამა. სსმ მოსწავლეებს ეცნობიან სპეცმასწავლებლები და საჭიროების შემთხვევაში სკოლას უზრუნველყოფს ასისტენტის მომსახურებას და სხვა.

ინდიკატორი 4.2.1.1.დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. მოსწავლეებს სკოლაში ხვდებათ მათი ასაკის გათვალისწინებით მოწყობილი საკლასო გარემო, ადაპტირებული ავეჯი, საჭიროების შემთხვევაში სპეც. პედაგოგი, ასისტენტი. სადღესასწაულო გარემოში ხდება პირველკლასელთა მიღება სკოლაში.

ინდიკატორი 4.2.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. კლასის დამრიგებელი და საგნის მასწავლებელი სისტემატურად უწევენ მონიტორინგს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. შედეგების გაუმჯობესების მიზნით მოსწავლეს შეუძლია მიიღოს კონსულტაცია მასწავლებლისგან (ზეპირი შეთანხმების ან წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით). მოსწავლის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან შემოსული მომართვის შემთხვევაში გათვალისწინებულია დამატებითი მეცადინეობა. სკოლაში მუშაობს რემედიაციის ჯგუფი ქართულ ენასა და მათემატიკაში.

ინდიკატორი 4.2.1.3.დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება საკუთარი სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. დაწესებულების მიერ სერვისების გაწევა ხდება რეალისტურ ვადებში. კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენელს აცნობს შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას (შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი, სემესტრული ქულის ამაღლების წესი, გაცდენების ზღვრული რაოდენობა, საშემოდგომო გამოცდები და ა.შ). მშობლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე სკოლას შეუძლია მოახდინოს მოსწავლის რეფერირება ფსიქო- სოციალურ სამსახურთან.

ინდიკატორი 4.2.1.4.დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს არაფორმალური განათლების მხარდამჭერი პროგრამები. მაგ. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით და სპორტის პედაგოგების ხელშეწყობით მოეწყო სპორტული აქტივობები. სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, ბიოკლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, სადაც გაერთიანებული არიან შესაბამისი ინტერესების მოსწავლეები. კლუბებს კურატორობენ გამოცდილი პედაგოგები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეების ინიციატივების რეალიზებას საინტერესო აქტივობებით. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების შესახებ მსჯელობა და ანალიზი.

ინდიკატორი 4.2.1.5.დაკმაყოფილებულია.

6.სკოლის დირექციასთან გასაუბრებითა და თვითმმართველობის მასალების გაცნობით დგინდება, რომ დირექცია აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითმმართველობასა და კლუბებთან. მათგან უკუკავშირის მიღება ხდება შეხვედრების ფორმატში.

ინდიკატორი 4.2.1.6.დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითმმართველობის ოქმი N2 ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სპეციალური მასწავლებლების ანგარიშები.

1.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო და საშუალო საფეხურის სადამრიგებლო პროგრამებით გათვალისწინებულია ცალკეული პროფესიების გაცნობა. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომობის მიზნით, სკოლაში ხორციელდება შეხვედრები დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებსა და უმაღლესი/პროფესიული დაწესებულებების წარმომადგენლებთან. სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული კოლეჯ მოდუსთან, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები სტუმრობენ პროფესიულ კოლეჯს და საშუალება აქვთ გაიარონ 3 თვიანი კურსები კონკრეტული პროფესიული უნარების დაუფლების მიზნით.

ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. დირექტორის განმარტებით, სკოლის პოლიტიკაა შესაბამისი საფეხურის დასრულებამდე მოსწავლეები და მშობლები ინფორმირებული იყვნენ კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ამ მიზნით, სკოლა თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან.

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან ზეპირი გამოკითხვის საფუძველზე ახდენს ინფორმაციის მოძიებას, თუ რამდენად შეუწყო ხელი სკოლამ მომავალი პროფესიის არჩევაში, როგორია მათი შედეგები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. ეწყობა გასვლითი ღონისძიებები და მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა სამსახურეობრივი სფეროს სპეციფიკას. სკოლას ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები და აცნობენ საშუალო საფეხურის მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროგრამებს, ფაკულტეტებს, სპეციალობებს.

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა;
- მემორანდუმი ,,მოდუსთან“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ზოგადი პრინციპები. სკოლის დირექტორის მიერ ინდივიდუალურ- სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების განხორციელების წლიური სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია წლის განმავლობაში შესასრულებელი აქტივობები.

სკოლის ადმინისტრაციის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრა ისგ ჯგუფები, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს შეუწყობს მათ განხორციელებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია ორი -სპეციალური მასწავლებელი და სამი - ასისტენტი.

ინდიკატორი 4.2.3.1დაკმაყოფილებულია.

2..სკოლაში ინკლუზიური განათლების გაუმჯობესებისთვის შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი და დებულება, რომელშიც გაწერილია ჯგუფის საქმიანობის ამსახველი მასალები. სკოლას ჰყავს კვალიფიციური კადრები. ინკლუზიური განათლების პროცესში ჩართულ სპეციალისტებს აქვთ მუდმივი კომუნიკაცია და საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან (ისგ. ჯგუფის შეხვედრები).

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ბრძანება სსგ ჯგუფის შესახებ;
- ბრძანება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ისგ გეგმები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;

- ვიზუალური დათვალიერება.

1.2.4. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. იდენტიფიცირებულ

მოსწავლეებთან ინდივიდუალური გეგმით მუშაობს ისგ ჯგუფი. სპეციალური მასწავლებელი მოსწავლეს უწევს დამატებით მომსახურებას. დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც წელიწადში ორჯერ წარმოადგენს ანგარიშს და შესაბამის რეკომენდაციებს. ისგ ჯგუფის შეხვედრა იმართება წელიწადში მინიმუმ 4 -ჯერ. სსსმ მოსწავლის საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია რიგგარეშე შეხვედრების დაგეგმვაც, სადაც განიხილება მოსწავლის მიღწევის პროგრესი და მუშავდება არსებული გამოწვევი. სპეციალური მასწავლებელი მოსწავლესთან მუშაობს წინასწარ შედგენილი გრაფიკით კოგნიტური, სოციალური, ემოციური და აკადემიური უნარების განვითარებაზე.

ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია.

2.სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის ინკლუზიური პოლიტიკა. სასკოლო საზოგადოება ჩართულია სსსმ მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებასთან ინტეგრაციის პროცესში. მაგალითად, ადმინისტრაცია ჩართულია ინკლუზიური სწავლების ყველა მიმართულებაში. რესურსოთახები მოწყობილია საჭირო ინვენტარით და სასწავლო მასალით. სპეციალური მასწავლებლების პორტფოლიოების, ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების და სამუშაო მასალების გაცნობა ადასტურებს სკოლის მზაობას ამ მიმართულებით.

ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინდივიდუალური გეგმები;
- სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოები;
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები.

1.2.5. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოებისთვის სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის ფასიანი მომსახურება (გახანგრძლივებულის წრე) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ინდიკატორი 4.2.5.1.დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან ათანხმებს დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურების ხასიათის ნუსხას. აღნიშნული ნუსხის შესაბამისად ხდება წრეების შექმნა და იჯარით ფართის გაცემა. საწრეო მუშაობის მომსახურების მისაღებად, ნებაყოფლობითობის პრინციპით (მშობელი განცხადებით მიმართავს სკოლის დირექციას, რომელიც განიხილავს საკითხს და ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება მშობელსა და სკოლას შორის).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4.2.5.2.დაკმაყოფილებულია.

3. დამატებითი მომსახურების წრეები სკოლას არ აქვს, გარდა გახანგრძლივებული ჯგუფისა, რომელიც ფუნქციონირებს განრიგის შესაბამისად. ხელმძღვანელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა დასწრების კონტროლს. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს. სკოლაში მოქმედი უსაფრთხოების ზომები ვრცელდება არასავალდებულო მომსახურეობის პერიოდშიც.
უსაფრთხოებას.

ინდიკატორი 4.2.5.3.დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ბრძანება N1/კ - 129 გახანგრძლივებული სწავლების შესახებ;

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება*ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება*

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კურიკულუმები აგებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. აღნიშნულ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ და უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. სკოლამ დოკუმენტურად ვერ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა აქვს სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიაზე მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. დაწესებულება 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის აპირებს მის შემუშავებას. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა შესაძლებლობები, დიფერენცირებული მიდგომები და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილია გამოკითხვის მეთოდით. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესის დროს აღწერილი პროცედურები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომელიც ჩანს სასკოლო სასწავლო გეგმაში. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა რომ დაწყებითი საგნების კათედრის წევრები კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, კერძოდ განხორციელებულ პრაქტიკულ საქმიანობას, კათედრის წევრები ხვდებიან მოსწავლეებს, მათ მშობლებს, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს და აცნობენ სასწავლო გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს, კომპლექსურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებებს და მათგან მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას. მშობელთა ჩართულობა ხდება მშობელთა კრებების, ასევე სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით (ფეისბუქჩატი, რომლითაც ეგზავნებათ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების ბარათები) და მათგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით.

ინდიკატორი2.1.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმებს მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების, აგრეთვე მათი ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლები კათედრაზე თანამშრომლობენ, იზიარებენ გამოცდილებას და ინტერესებს. სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების შესაბამისად, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და ორიენტირებულები არიან მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. თითოეულ კათედრაზე, მასწავლებლები საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის მანძილზე აცნობენ კურიკულუმში ჩამოყალიბებულ პრიორიტეტულ მიმართულებებს. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. საგნობრივი კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო ელექტრონულ სივრცეში და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისათვის. გარდა ამისა, მასწავლებლებს და მშობლებს სოციალური ქსელში აქვთ საერთო, კლასის ფეისბუქ-ჯგუფები, სადაც პერიოდულად ხდება მშობელთა ინფორმირება, სასწავლო საკითხების და კომპლექსური დავალებების გაცნობა მშობლის ბარათის მეშვეობით.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- მშობელთა კრების ოქმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სადამრიგებლო პროგრამა;
- კომპლექსური დავალების ბარათები მშობლებისთვის (მე და საზოგადოება- III კლასი);
- საგნობრივი კურიკულუმები
- თვითშეფასების განაცხადი
- პედაგოიური საბჭოს სამუშაო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სსსმ მოსწავლის მონიტორინგის ფორმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- კომპლექსური ბარათები (მშობლებისთვის).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მათი ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული (რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში). კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. პედაგოგების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, რომელიც თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსი და როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე

ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. საფეხურის კათედრაზე გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა გააზრებულია ერთი მხრივ, ფუნქციურ უნარებზე, მეორე მხრივ, კი სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებით. გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას, მტკიცებულებად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების ბარათები. მასწავლებელი არჩევს კონტექსტ-მაგალითებს, კომპლექსური დავალების იდეას /პირობას და შესაბამის რესურსებს, დაგეგმილი პროცესი საინტერესო და მიზანმიმართულია, რაც ასევე იძლევა საშუალებას გააქტიურდეს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თითოეული მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნის ან პრობლემის გადაჭრისას გამოამჟღავნოს შემოქმედებითობა. გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მოსწავლის როლი და რეფლექსია მის ხასიათსა და პიროვნებას. სკოლას მიეცა შემდეგი <u>რჩევები: 1. შემუშავდეს საგან „მე და საზოგადოების“ III კლასის კურიკულუმი; 2. საგან ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში სრულად დაიფაროს ყველა სამიზნე ცნება და მათზე გაიწეროს შესაბამისი საკითხი/საკითხთა კლასტერი.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები გათვლილია მაღალი, დაბალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების მეთოდებზე და ჩანს, რომ გააზრებული აქვთ მისი მნიშვნელობა სასწავლო პოზიტიური გარემოს შესაქმნელად. ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას და შესაძლებლობეს. სკოლას აქვს შეშუშავებული ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც ნათლად ჩანს თუ რამდენად ხელისშემწყობი გარემოა სკოლაში და რამდენად ინკლუზიური გარემო, სადაც ყველა მოსწავლის საჭიროება, ინტერესი და შესაძლებლობებია გათვალისწინებული. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობეს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას, მასწავლებლები იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს აქვთ მზაობა სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მოსწავლეებს შესთავაზონ მრავალფეროვანი სტრატეგიები და მეთოდები.

ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლის მიერ წარმოდეგენილ მასალებსა და მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ნათლად ჩანს თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ მათ აქვთ შეფასების რუბრიკების შედგენის გამოცდილება. იყენებენ ჰოლისტურ შეფასებას, ხოლო განმავითარებელი შეფასებისას თვითშფასებას, ურთიერთშეფასებას, ზეპირ კომენტარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ისინი გეგმავენ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნას, სამიზნე ცნებებთან მიმართებით. <u>სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშავონ წერილობითი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა საგანში.</u>

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

5. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნისას

გაითვალისწინეს წინარე გამოცდილების ანალიზი, პრაქტიკული გამოცდილება, კომპლექსური დავალების განხორციელებისას მიღებული უკუკავშირი, გაკვეთილის რეფლექსია, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. კათედრების კოორდინირებულმა მუშაობამ ხელი შეუწყო გადამუშავებული კურიკულუმის შექმნას. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა მუშაობას სასწავლო პროცესში და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. მასწავლებლები ითვალისწინებენ ხარისხის მართვისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის წევრებისგან და ,,კრიტიკული მეგობრისგან'' მიღებულ უკუკავშირებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მიმდინარე კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსობრივ ნაწილში მოსწავლეთა გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება ცვლილებები, თუმცა აუცილებელია რეფლექსიის/დიაგნოსტირების ინსტრუმენტის შემუშავება/რეალიზება, რათა აღნიშნული ცვლილებების შედეგად მოხდეს მოსწავლის შედეგების ანალიზი სტანდარტის შედეგების მიხედვით.

ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა ;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- სხვადასხვა საგნებში სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- პროექტების ნიმუშები;
- შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები;
- კომპლექსური დავალების ბარათები მშობლებისათვის;
- გასასვლელი ბარათები;
- რესურსი-12-მათემატიკის-კათედრა;
- დაწყ. კლასების მათემატიკის კურიკულუმები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- კათედრის სამუშაო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სსსმ-ს მონიტორინგის ოქმები;
- სასწავლო ჯგუფების სამუშაო შეხვედრის ოქმი და კოლეგის უკუკავშირი.
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- ისგ (მათემატიკა, ქართული);
- სკოლის ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ამისათვის ირჩევენ შესაბამის სასწავლო მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებს და მეთოდებს. ამით ცდილობენ გაზარდონ როგორც მოტივაცია, ასევე პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები იძლევა მათ შემოქმედებით ჩართულობას. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

<u>სკოლას მიეცა რჩევები: კომპიუტერულ ტექნოლოგიებში - გამოყენებული იქნას დიზაინის სხვა შერჩევის პლატფორმები , მაგალითად canva.com , Free Items - Design Templates ან სხვა. სპორტი - მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმებში დაამატონ თემა „მავნე ჩვევების პრევენცია“.</u>

ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციზე და ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ

მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას. სკოლას მომდევნო სასწავლო წლისათვის გადაწყვეტილი აქვს, შეძლებისდაგვარად, ყველა საგნის ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების განხორციელება. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს სთავაზობენ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომ ე.წ. კონტექსტმაგალითებს (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს.

ინდიკატორი2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლის დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საგნობრივი კურიკულუმი ეფუძნება საგნობრივი სტანტადრტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს, კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც თავის მხრივ განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ. კომპლექსური დავალებები მოსწავლეს სთავაზობს დამაფიქრებელ, მეტაკოგნიტურ კითხვებს, რაც ქმნის საფუძველს მოსწავლემ შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი და განსაზღვროს სამომავლო გეგმები. სკოლის თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითრებაზე თვითშეფასების, ურთიერთშეფასების და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის საფუძველზე. პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა.

ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი, დაწყებით საფეხურზე, ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი

ცოდნის გარდა ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს ცოდნის სამივე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კატეგორიის რეალიზებისას. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტული ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მოქმედების წესებისა და სტრატეგიების გამოყენებას და ცოდნის მკვიდრ წარმოდგენად ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. საგნის სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურული ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. ამ მიზნით, დაწყებითი საფეხურის, მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- სასწავლო პროექტები;
- კლუბების აქტივობები/დავალებები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები, კომპლექსური დავალებები , შემაჯამებლები და მათი ანალიზი;
- ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (emis.ge);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სტრატეგიული გეგმები;
- მოსწავლეთა პრეზენტაციები, მოსწავლეთა პორტფოლიო;
- დამრიგებლის ანგარიში;
- გაკვეთილის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი დაწყებითი საფეხურის საგნების სამიზნე ცნებები. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა კომპლექსური დავალებების განსახორციელებლად მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები მიემართება სამიზნე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას.

ინდიკატორი2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო–სოციალურ და ემოციურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვას. მასწავლებლებთან ინტერვიუერების შედეგად გაირკვა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს შიდა სასკოლო პროექტები, რომლებიც ემსაურება მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციური უნარების განვითარებას მიმდინარე პროექტები დაგეგმილია მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე. ტარდება საგნობრივი შეჯიბრები, სადაც მოსწავლეები ერთმანეთს გულშემატკივრობენ, გამოხატავენ თვიანთ პოზიციებს. უმუშავდებათ ემპათიის - სხვათა წარმატების გაზიარებისა და საკუთარი ემოციების თვითრეგულაციის უნარი.

ინდიკატორი2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. წარმოდგენილია შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება კათედრებზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ ისიც, თუ როგორ მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი. შერჩეული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები ხელს უწყობს მოსწავლის წინსვლას და ორიენტირებულია მის მხარდაჭერაზე, რაც უქმნის მოსწავლეს სწავლის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას და ზრდის მოტივაციას.

<u>რჩევა: კომპიუტერული ტექნოლოგიები - შეიქმნას ჰოლისტური ბუნების შეფასების რუბრიკები აქტივობებიდან გამომდინარე კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში</u> .

ინდიკატორი2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით მოხდება შეფასება და რა შედეგი ექნება მას. მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას, ცალკე დოკუმენტად, შემუშავებული არ აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების სისტემა, რომლიც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. დაწყებითი კათედრის ოქმებიდან ჩანს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას არჩეული აქვს მოსწავლეთა შეფასების პირველი მოდელი. დიაგნოსტირება იგეგმება წელიწადში ერთჯერ. მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე შეფასდება კათედრის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრები მუშაობენ მის შექმნაზე. მიუხედავად მეთოდოლოგიის არარსებობისა, ამ მიმართულებით სკოლა ახორციელებს საქმიანობას ურთიერთმონიტორინგის, შედეგების პერიოდული გაანალიზების გზით. ვერიფიკაციის მექანიზმად შეიძლება მივიჩნიოთ წარმოდგენილი მტკიცებულება - საგნობრივი კურიკულუმი, მოსწავლის მიღწევების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, კათედრის ოქმები.

რეკომენდაცია - სკოლამ შექმნას ვერიფიკაციის მექანიზმის მეთოლოგიური გზამკვლევი ან დოკუმენტი , სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ჩართულობით , დაიგეგმოს და ჩატარდეს პედაგოგების პროფესიული განვითარებისთვის შეფასების სისტემის საკითხებზე ტრეინინგი.

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით N 2-350 (28/09/2023) დამტკიცებული აქვს სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი</u>

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემთა, ინფორმაციათა და მტკიცებულებათა სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით . პირადი საქმეების, ელექტრონული ჟურნალის, მასწავლებლის პორტალის და არქივის საშუალებით. აღსაღნიშნავია, რომ დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი შეფასება ყოველი წლის ბოლოს მოსწავლის პირად საქმეში ინახება, გარდა ამისა სემესტრული განმავითარებელი შეფასებები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. შემაჯამებელი წერების ანალიზები კი ასახულია მასწავლებლის პორტალზე, გარკვეული დროის შემდეგ მასალები არქივდება.

ინდიკატორი2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კათედრის ოქმები;
- პროექტები;
- ინდ სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (emis.ge);
- კურიკულუმი 2-6 კლასი კომპიუტერული ტექნოლოგია
- კომპლექსური დავალებების ფოტოები ;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების რუბრიკების ნიმუშები;
- სსსმ მოსწავლის შეფასების რუბრიკა;
- სოლო ტაქსონომია;
- კოლეგათა ურთიერთდასწრების შეფასების ფორმა;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას, კერძოდ როგორც სასკოლო ასევე საკლასო გარემო ყველა მოსწავლისათვის არის პოზიტიური, თანამშრომლობითი და მეგობრული. ამის დასტურია განხორციელებული სასკოლო პროექტები, ერთობლივი აქტივობები. კათედრებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რომელსაც უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები. ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები. უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, სკოლის ხედვის ნაწილში აღნიშნულია, რომ სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი გზა.

ინდიკატორი2.2.3.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში სასწავლო პროცესში ორიენტირება ხდება მოსწავლეზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. სკოლას გააზრებული აქვს მათი მნიშვნელობა, მოსწავლეთა ჩართულობა და მოსწავლის საჭიროებებისა და პროგრესის მონიტორინგი. დაწყებით საფეხურზე დაგეგმილია მრავალი აქტივობა არაფორმალური განათლების ხაზით. რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რადგან გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროები და ინტერესები. პედაგოგები ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს.

ინდიკატორი2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.

3. დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი კურიკულუმები მიზანმიმართულია კოლაბორაციისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლის პორტფოლიოები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ასევე კათედრის სხდომის ოქმები, კლასის დამრიგებელთა სამუშაო გეგმები, გახანგრძლივებული წრის სამუშაო გეგმები, სადაც ჩანს რომ ისინი მუდმივად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კათედრები გეგმავენ პროექტებს, ღონისძიებებს, გაკვეთილებს, აქტივობებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არჩევენ რესურსებს, ახდენენ მშობელთა ინფორმირებას და ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად ახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან (მშობლებთან შეხვედრები), იზიარებს მათ უკუკავშირს და აქვს სიახლეების მაღალი მიმღებლობა.

ინდიკატორი2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.

4. პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომელიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას, ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კონტექსტ-მაგალითები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებენ ქცევის წესებს, შეძლებისდაგვარად ცდილობენ სასწავლო სივრცის გამრავალფეროვნებას. კონსტრუქციული უკუკავშირები ხელს უწყობს პოზიტიური საკლასო გარემოს შექმნას.

ინდიკატორი2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- დაგეგმილი და განხორციელებული გაკვეთილების ნიმუშები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების ნიმუშები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული სამოქმედო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- პროექტები;
- საგნობრივი კურიკულუმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კათედრის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით ნათელი ხდება, რომ სკოლის ხარისხის ჯგუფის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით ხორციელდება დაკვირვება მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. მოსწალეთა შეფასებით ხდება შედეგების გაანალიზება და შემდგომ ინტერვენციების განხორციელება: კომპლექსური დავალების მოდიფიცირება საკითხის, სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, პროდუქტის, რესურსებისა და აქტივობების ცვლილებით. სკოლაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი გეგმის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება. სკოლას მიეცა შემდეგი <u>რჩევები:</u>

- <u>შემუშავდეს კურუკულუმის შექმნის მეთოდოლოგიის დოკუმენტი სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ფართო ჩარევით;</u>
- <u>შემუშავდეს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმი.</u>

ინდიკატორი2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. თვითშეფასების ნარატივიდან და პედაგოგებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სკოლის ყველა მასწავლებელთან თანამშრომლობით შეიქმნება მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარებასა და მხარდაჭერაზე. მონიტორინგის განხორციელებისას მკაფიოდ განისაზღვრება ანგარიშვალდებულებები, დაიგეგმება მიზნის მიღწევის მექანიზმები. კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენმონიტორინგს, ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორინტირებულ კონსტრუქციულ უკუკავშირს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მუშაობა მიმდინარებს შემუშავებული დებულების მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მხარდამჭერი ჯგუფი წინასწარ შედგენილი გრაფიკით ახორციელებს გაკვეთილზე დასწრებას მთელი წლის განმავლობაში. დაკვირვების განხორციელების შემდეგ ხდება უკუკავშირის მიცემა. სკოლას აქვს კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების და თანამშრომლობის პრაქტიკა. არსებობს „კრიტიკული მეგობრის “ ინსტიტუტი. მასწავლებლისა და დამკვირვებლის რეფლექსიის საფუძველზე, აანალიზებენ ძლიერ და სუსტ მხარეებს. პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული.

ინდიკატორი2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა დაწყებით საფეხურზე სერიოზულად მუშაობს ამ მიმართულებით, გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენ მონიტორინგს, ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორინტირებულ კონსტრუქციულ უკუკავშირს. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი მოიაზრება, როგორც კურიკულუმის განხორციელების მანძილზე გამოვლენილი სირთულეების გაანალიზების და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვის საშუალება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება.

ინდიკატორი2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა;
- სადიაგნოსტიკო შეფასება;
- შინაგანაწესი;
- დირექტორის ბრძანება ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნაზე;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმის შაბლონი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მასწავლებელთა ანგარიშები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციით ნათელი ხდება, რომ მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით შეფასება სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე. შეფასებისას აქცენტი კეთდება კომპლექსურებისა და შემაჯამებლების შედეგებზე, მოსწავლეთა მიღწევებზე. მომავალ წელს კურიკულუმის გადამუშავების პროცესში გეგმავენ დაეყრდნონ წინა წლის გამოცდილებას, გააზრებული აქვთ, რომ ეს დაეხმარება მათ ახალი სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ყურადღებას გაამახვილებენ კურიკულუმის ყველა საკვანძო ელემენტზე. ასევე იაზრებენ, რომ აუცილებელია ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის როლი ახალი სასწავლო წლის დაგეგმვაში. პასუხისმგებლობის გადანაწილება სასკოლო საზოგადოებაზე.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, რაც საშუალებას აძლევთ მოსწავლის მრავალი კუთხით იდენტიფიცირებისას. გამოავლინონ სასწავლო პროცესში გამოყენებული მისი სხვადასხვა უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. სკოლის დოკუმენტაციაში დევს შესაბამისი აქტივობების შეფასების რუბრიკები. კათედრებს

წარმოდგენილი აქვთ მრავალფეროვანი რუბრიკები, კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სოლო ტაქსონომიის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკები; მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა.

ინდიკატორი2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მონაცემთა შეგროვების გამოცდილება არსებობს, ივსება სხვადასხვა ტიპის კითხვარები, ტარდება ინტერვიუები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციის თანახმად, სასწავლო პროცესის ანალიზისთვის მონაცემთა შეგროვება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით მოხდება. მაგ. დაკვირვება, ფოკუს-ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ და სხვა. მონაცემთა ანალიზით მოხდება მოსწავლეთა უნარების დიფერენცირება და სამომავლო ინტერვენციების განსაზღვრა.

<u>რჩევა: კომპიუტერული ტექნოლოგიები - ტექნოლოგიები პროცესების მონიტორინგისთვის და შეფასებისთვის გამოყენებული შეიძლება იყოს ანონიმური ანკეტირება, ონლაინ გამოკითხვები (გუგლფორმსის ან მაიკროსოფტ ფორმის ინსტრუმენტი , რომლის ბმული შეიძლება ფეისბუკ ან ვებგვერდზე იყოს გამოქვეყნებული, საერთო ან რანდომიზებული მეთოდი, ანკეტირება და სხვა).</u>

ინდიკატორი2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. წარმოდგენილი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასება განხორციელდეს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად, მოსწავლეზე დაკვირვება წარიმართება მულტიფაქტორული მიდგომის გათვალისწინებით, სხვადასხვა გარემოებებში, რის საშუალებასაც იძლევა დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და არაფორმალური აქტივობები. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ გეგმავენ კურიკულუმებში დიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად, მოხდეს შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების აღნიშნულ მეთოდთან. ასევე შეფასების ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს არსებული სიტუაციის დანახვას მრავალმხრივი კონტექსტიდან და მიზნობრივ შეფასებას.

<u>რჩევა: კომპიუტერული ტექნოლოგიები - პროცესების მონიტორინგის და შეფასებისთვის შესაძლებელია ასეთ ფაქტორებზე დაყრდნობით იყოს განხორციელებული, როგორებიც არის დროის ჭდე , მიმართულება , (მაგ.კმაყოფილების გაზომვა) დიხოტომიური ან არჩევითი პასუხები კითხვებზე , სუბიექტირებული (საკუთარი მოსაზრება) ან პროექცირებული (მესამე მხარეზე პროექცირება) გამოკითხვის კითხვების შედგენისას და სხვა .</u>

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა;
- შეფასების ფორმები;
- ინდ. გეგმები;
- მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და მათი შეფასება;
- დამრიგებლის პორთფოლიო;
- სსსმ მოსწავლის მონიტორინგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი, რომელშიც დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კურიკულუმის განხორციელების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრებების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. <u>რჩევა: კომპიუტერული ტექნოლოგიები - მომავალი სასწავლო წლისათვის შექმნილ მეთოდოლოგიურ დოკუმენტაციაში (კურუკულუმის მეთოდოლოგიის და ვერიფიკაციის მექნიზმის დანერგვის დოკუმენტებში) გათვალისწინებული იყოს ჩატარებული სასკოლო კვლევების საფუძველზე სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნა;</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს კურიკულუმების მონიტორინგს, ხოლო - სასწავლო წლის ბოლოს კურიკულუმების შეფასებასა და რევიზიას, რის საფუძველზეც შემუშავდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები. წარმოდგენილ კურიკულუმებში უკვე ასახულია დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება, კერძოდ, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოიკვეთა რამ იმუშავა ან არ იმუშავა კარგად, რომელმა აქტივობამ აღძრა მოსწავლეთა ინტერსი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში და ა.შ. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზები.

<u>რჩევა: კომპიუტერული ტექნოლოგიები - მონიტორინგის და შეფასების შედეგების ანალიზისთვის გამოკითხვების ან სხვა ინფორმაციის და მონაცემების შეგროვებისთვის საჭირო აქტივობებზე დაყრდნობით ჩატარდეს კვლევა , კვლევის შედეგები გაზიარდეს სასკოლო საზოგადოების სხვდასხვა მხარეებთან და დაიგეგმოს საკოსულტაციო შეხვედრები და შეიქმნას სკოლის სტრატეგიული გეგმის , მისიის და ხედვის , წლიური სასწავლო გეგმის შესაბამისი კურუკულუმის გადამუშავებული ვერსია.</u>

ინდიკატორი2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კურიკულუმები აგებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. აღნიშნულ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ და უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. სკოლას ამ ეტაპისთვის არ გააჩნია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა აქვს სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიაზე მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის აპირებს მის შემუშავებას. კურიკულუმების შედგენის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილია გამოკითხვის მეთოდით. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესის დროს აღწერილი პროცედურები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

ინდიკატორი2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომელიც ჩანს სასკოლო სასწავლო გეგმაში. მასწავლებლებთან

გასაუბრებისას გაირკვა რომ საბაზო საფეხურის საგნების კათედრის წევრები კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, კერძოდ განხორციელებულ პრაქტიკულ საქმიანობას, კათედრის წევრები ხვდებიან მოსწავლეებს, მათ მშობლებს, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს და აცნობენ სასწავლო გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს , კომპლექსურ დავალებებს და მათგან მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას. მშობელთა ჩართულობა ხდება მშობელთა კრებების, ასევე სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით (ფეისბუქჩატი, რომლითაც ეგზავნებათ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების ბარათები) და მათგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით.

ინდიკატორი2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე, გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმებს მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების, აგრეთვე მათი ინტერესების გათვალისწინებით. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, მასწავლებლები კათედრაზე თანამშრომლობენ, იზიარებენ გამოცდილებას და ინტერესებს. სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების შესაბამისად, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და ორიენტირებულები არიან მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. თითოეულ კათედრაზე, მასწავლებლები საკუთარი კლასის

მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის მანძილზე აცნობენ კურიკულუმში ჩამოყალიბებულ პრიორიტეტულ მიმართულებებს. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. საგნობრივი კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო ელექტრონულ სივრცეში და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისათვის. გარდა ამისა, მასწავლებლებს და მშობლებს სოციალური ქსელში აქვთ საერთო, კლასის ფეისბუქ-ჯგუფები, სადაც პერიოდულად ხდება მშობელთა ინფორმირება, სასწავლო საკითხების და კომპლექსური დავალებების გაცნობა მშობლის ბარათის მეშვეობით.

ინდიკატორი2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობელთა კრების ოქმი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- პედაგოიური საბჭოს სამუშაო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სსსმ მოსწავლის მონიტორინგის ფორმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კომპლექსური ბარათები (მშობლებისთვის).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მათი ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული. რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. პედაგოგების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, რომელიც თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსი და როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება.

ინდიკატორი2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე

ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. საფეხურის კათედრაზე გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა გააზრებულია ერთი მხრივ, ფუნქციურ უნარებზე, მეორე მხრივ, კი სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებით. გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას, მტკიცებულებად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების ბარათები. მასწავლებელი არჩევს კონტექსტ-მაგალითებს, კომპლექსური დავალების იდეას /პირობას და შესაბამის რესურსებს, დაგეგმილი პროცესი საინტერესო და მიზანმიმართულია, რაც ასევე იძლევა საშუალებას გააქტიურდეს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თითოეული მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნის ან პრობლემის გადაჭრისას გამოამჟღავნოს შემოქმედებითობა. გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მოსწავლის როლი და რეფლექსია მის ხასიათსა და პიროვნებას.

ინდიკატორი2.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები გათვლილია მაღალი, დაბალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს დიფერენცირების სწავლების მეთოდებზე და ჩანს, რომ გააზრებული აქვთ მისი მნიშვნელობა სასწავლო პოზიტიური გარემოს შესაქმნელად, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას და შესაძლებლობებს, სკოლას აქვს შეშუშავებული ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმა სადაც ნათლად ჩანს თუ რამდენად ხელისშემწყობი გარემოა სკოლაში და რამდენად ინკლუზიური გარემო, სადაც ყველა მოსწავლის საჭიროება, ინტერესი და შესაძლებლობებია გათვალისწინებული. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას, მასწავლებლები იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს, აქვთ მზაობა სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მოსწავლეებს შესთავაზონ მრავალფეროვანი სტრატეგიები და მეთოდები.

ინდიკატორი2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებსა და მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ნათლად ჩანს თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ მათ აქვთ შეფასების რუბრიკების შედგენის გამოცდილება. იყენებენ ჰოლისტურ შეფასებას, ხოლო განმავითარებელი შეფასებისას თვითშფასებას, ურთიერთშეფასებას, ზეპირ კომენტარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ისინი გეგმავენ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნას, სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

<u>რჩევა: შეიმუშაონ წერილობითი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა საგანში.</u>

ინდიკატორი2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

5. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნისას

გაითვალისწინეს წინარე გამოცდილების ანალიზი, პრაქტიკული გამოცდილება, კომპლექსური დავალების განხორციელებისას მიღებული უკუკავშირი, გაკვეთილის რეფლექსია, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, კათედრების კოორდინირებულმა მუშაობამ ხელი შეუწყო გადამუშავებული კურიკულუმის შექმნას. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა მუშაობას სასწავლო პროცესში და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. მასწავლებლები ითვალისწინებენ ხარისხის მართვისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის წევრებისგან და ,,კრიტიკული მეგობრისგან" მიღებულ უკუკავშირებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მიმდინარე კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსობრივ ნაწილში მოსწავლეთა გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება ცვლილებები, თუმცა აუცილებელია რეფლექსიის/დიაგნოსტირების ინსტრუმენტის შემუშავება/რეალიზება, რათა აღნიშნული ცვლილებების შედეგად მოხდეს მოსწავლის შედეგების ანალიზი სტანდარტის შედეგების მიხედვით.

ინდიკატორი2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- სხვადასხვა საგნებში სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროექტების ნიმუშები;
- შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები;
- კომპლექსური დავალების ბარათები მშობლებისათვის;
- ინდ. სასწავლო გეგმები;
- გასასვლელი ბარათები;
- რესურსი-12-მათემატიკის-კათედრა;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- კათედრის სამუშაო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სსსმ-ს მონიტორინგის ოქმები;
- სასწავლო ჯგუფების სამუშაო შეხვედრის ოქმი და კოლეგის უკუკავშირი.
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- ისგ (მათემატიკა, ქართული).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ამისათვის ირჩევენ შესაბამის სასწავლო მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებს და მეთოდებს. ამით ცდილობენ გაზარდონ როგორც მოტივაცია, ასევე პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმები იძლევა მათ შემოქმედებით ჩართულობას. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციზე და ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ

მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას. სკოლას მომდევნო სასწავლო წლისათვის გადაწყვეტილი აქვს, შეძლებისდაგვარად, ყველა საგნის ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების განხორციელება. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს თავაზობენ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომ ე.წ. კონტექსტმაგალითებს (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს.

ინდიკატორი2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საგნობრივი კურიკულუმი ეფუძნება საგნობრივი სტანტადრტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს, კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც თავის მხრივ განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ. კომპლექსური დავალებები მოსწავლეს სთავაზობს დამაფიქრებელ, მეტაკოგნიტურ კითხვებს, რაც ქმნის საფუძველს მოსწავლემ შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი და განსაზღვროს სამომავლო გეგმები. სკოლის თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებაზე თვითშეფასების, ურთიერთშეფასების და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის საფუძველზე. პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა.

ინდიკატორი2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი ცოდნის გარდა

ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებისას. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტული ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მოქმედების წესებისა და სტრატეგიების გამოყენებას და ცოდნის მკვიდრ წარმოდგენად ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. საგნის სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალი. ამ მიზნით საბაზო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი2.2.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- სასწავლო პროექტები;
- კლუბების აქტივობები/დავალებები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები, კომპლექსური დავალებები , შემაჯამებლები და მათი ანალიზ;ი
- სტრატეგიული გეგმები;
- მოსწავლეთა პრეზენტაციები, მოსწავლეთა პორტფოლიო;
- დამრიგებლის ანგარიში;
- გაკვეთილის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი საბაზო საფეხურის საგნების სამიზნე ცნებები. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა კომპლექსური დავალებების განსახორციელებლად მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები მიემართება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას. **ინდიკატორი2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო–სოციალურ და ემოციურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვა. მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გაირკვა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს შიდა სასკოლო პროექტები, რომლებიც ემსაურება მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციური უნარების განვითარებას მიმდინარე პროექტები დაგეგმილია მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე. ტარდება საგნობრივი შეჯიბრები, სადაც მოსწავლეები ერთმანეთს გულშემატკივრობენ, გამოხატავენ თვიანთ პოზიციებს. უმუშავდებათ ემპათიის - სხვათა წარმატების გაზიარებისა და საკუთარი ემოციების თვითრეგულაციის უნარს.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.2.2. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილია შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება კათედრებზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ ისიც, თუ როგორ მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი. შერჩეული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები ხელს უწყობს მოსწავლის წინსვლას და ორიენტირებულია მის მხარდაჭერაზე, რაც უქმნის მოსწავლეს სწავლის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას და ზრდის მოტივაციას. <u>რჩევა: მათემატიკასა და ესთეტიკაში - შეიქმნას ყველა თემაზე კონკრეტული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა</u>

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან

2.2.2.3. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით მოხდება შეფასება და რა შედეგი ექნება მას. მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.2.4. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლას, ცალკე დოკუმენტად, შემუშავებული არ აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების სისტემა, რომლიც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. საბაზო კათედრის ოქმებიდან ჩანს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას არჩეული აქვს მოსწავლეთა შეფასების პირველი მოდელი. დიაგნოსტირება იგეგმება წელიწადში ერთჯერ. მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე შეფასდება კათედრის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრები მუშაობენ მის შექმნაზე. მიუხედავად მეთოდოლოგიის არარსებობისა, ამ მიმართულებით სკოლა ახორციელებს საქმიანობას ურთიერთმონიტორინგის, შედეგების პერიოდული გაანალიზების გზით. ვერიფიკაციის მექანიზმად შეიძლება მივიჩნიოთ წარმოდგენილი მტკიცებულება -საგნობრივი კურიკულუმი, მოსწავლის მიღწევების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, კათედრის ოქმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ შექმნას ვერიფიკაციის მექანიზმის მეთოლოგიური გზამკვლევი ან დოკუმენტი, სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ჩართულობით , დაიგეგმოს და ჩატარდეს პედაგოგების პროფესიული განვითარებისთვის შეფასების სისტემის საკითხებზე ტრეინინგი.

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით N 2-350 (28/09/2023) დამტკიცებული აქვს სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი</u>

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემთა, ინფორმაციათა და მტკიცებულებათა სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით . პირადი საქმეების, ელექტრონული ჟურნალის, მასწავლებლის პორტალის და არქივის საშუალებით. აღსაღნიშნავია, რომ საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასება ყოველი წლის ბოლოს მოსწავლის პირად საქმეში ინახება, გარდა ამისა სემესტრული განმავითარებელი შეფასებები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. შემაჯამებელი წერების ანალიზები კი ასახულია მასწალებლის პორტალზე, გარკვეული დროის შემდეგ მასალები არქივდება.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.2.6. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სასკოლო საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო*
- *კათედრის ოქმები*
- *პროექტები*
- *ინდ სასწავლო გეგმა*
- *შეფასების რუბრიკები*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები*
- კომპლექსური დავალებების ფოტოები ;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების რუბრიკების ნიმუშები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსსმ მოსწავლის შეფასების რუბრიკა;
- სოლო ტაქსონომია.
- კოლეგათა ურთიერთდასწრების შეფასების ფორმა;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას, კერძოდ როგორც სასკოლო ასევე საკლასო გარემო ყველა მოსწავლისათვის არის პოზიტიური, თანამშრომლობითი და მეგობრული. ამის დასტურია განხორციელებული სასკოლო პროექტები, ერთობლივი აქტივობები. კათედრებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რომელსაც უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები. ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები. უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, სკოლის ხედვის ნაწილში აღნიშნულია, რომ სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი გზა.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.3.1. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლაში სასწავლო პროცესში ორიენტირება ხდება მოსწავლეზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. სკოლას გააზრებული აქვს მათი მნიშვნელობა, მოსწავლეთა ჩართულობა და მოსწავლის საჭიროებებისა და პროგრესის მონიტორინგი. საბაზო საფეხურზე დაგეგმილია მრავალი აქტივობა არაფორმალური განათლების ხაზით. რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რადგან გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროები და ინტერესები. პედაგოგები ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.3.2. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. საბაზო საფეხურზე დაგეგმილი კურიკულუმები მიზანმიმართულია კოლაბორაციისა და კომუკაციის უნარების განვითარებაზე. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლის პორტფოლიოები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ასევე კათედრის სხდომის ოქმები, კლასის დამრიგებელთა სამუშაო გეგმები, გახანგრძლივებული წრის სამუშაო გეგმები, სადაც ჩანს რომ ისინი მუდმივად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კათედრები გეგმავენ პროექტებს, ღონისძიებებს, გაკვეთილებს, აქტივობებს, არჩევენ რესურსებს, ახდენენ მშობელთა ინფორმირებას და ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა , რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად ახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან (მშობლებთან შეხვედრები), იზიარებს მათ უკუკავშირს და აქვს სიახლეების მაღალი მიმღებლობა.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.3.3. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომელიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას, ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კონტექსტ-მაგალითები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში. მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებენ ქცევის წესებს, შეძლებისდაგვარად ცდილობენ სასწავლო სივრცის გამრავალფეროვნებას. კონსტრუქციული უკუკავშირები ხელს უწყობს პოზიტიური საკლასო გარემოს შექმნას.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.3.4. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ
- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- დაგეგმილი და განხორციელებული გაკვეთილები
- ინტეგრირებული გაკვეთილები
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული სამოქმედო გეგმა
- სადამრიგებლო პროგრამები
- სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- პროექტები
- საგნობრივი კურიკულუმი
- კათედრის ოქმები
- მოსწავლეთა ნამუშევრები და მათი შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით ნათელი ხდება, რომ სკოლის ხარისხის ჯგუფის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით ხორციელდება დაკვირვება მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. მოსწალეთა შეფასებით ხდება შედეგების გაანალიზება და შემდგომ ინტერვენციების განხორციელება: კომპლექსური დავალების მოდიფიცირება საკითხის, სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, პროდუქტის, რესურსებისა და აქტოვობების ცვლილებით. სკოლაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი გეგმის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება. <u>რჩევები: შემუშავდეს კურუკულუმის შექმნის მეთოდოლოგიის დოკუმენტი სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ფართო ჩარევით; შემუშავდეს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმი;</u>

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.3.1.1. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. თვითშეფასების ნარატივიდან და პედაგოგებთან ინტერვიუდან ირკვევა,რომ სკოლის ყველა მასწავლებელთან თანამშრომლობით შეიქმნება მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარებასა და მხარდაჭერაზე. მონიტორინგის განხორციელებისას მკაფიოდ განისაზღვრება ანგარიშვალდებულებები, დაიგეგმება მიზნის მიღწევის მექანიზმები. კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენ მონიტორინგს, ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორინტირებულ კონსტრუქციულ უკუკავშირს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მუშაობა მიმდინარებს შემუშავებული დებულების მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მხარდამჭერი ჯგუფი წინასწარ შედგენილი გრაფიკით ახორციელებს გაკვეთილზე დასწრებას მთელი წლის განმავლობაში. დაკვირვების განხორციელების შემდეგ ხდება უკუკავშირის მიცემა. სკოლას აქვს კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების და თანამშრომლობის პრაქტიკა .არსებობს „კრიტიკული მეგობრის “ ინსტიტუტი. მასწავლებლისა და დამკვირვებლის რეფლექსიის საფუძველზე, აანალიზებენ ძლიერ და სუსტ მხარეებს. პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული.

<u>რჩევა: სპორტი - შემუშავდეს კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიის დოკუმენტი და მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმი.</u>

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.3.1.2. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა საბაზო საფეხურზე სერიოზულად მუშაობს ამ მიმართულებით, გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენ მონიტორინგს, ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორინტირებულ კონსტრუქციულ უკუკავშირს. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი მოიაზრება, როგორც კურიკულუმის განხორციელების მანძილზე გამოვლენილი სირთულეების გაანალიზების და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვის საშუალება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.3.1.3. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ
- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *თვითშეფასების კითხვარი*
- *სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა*
- *სადიაგნოსტიკო შეფასება*
- *შინაგანაწესი*
- დირექტორის ბრძანება ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნაზე;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმის შაბლონი;
- მასწავლებელთა ანგარიშები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციით ნათელი ხდება, რომ მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყნებით შეფასება სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე. შეფასებისას აქცენტი კეთდება კომპლექსურებისა და შემაჯამებლების შედეგებზე, მოსწავლეთა მიღწევებზე. მომავალ წელს კურიკულუმის გადამუშავების პროცესში გეგმავენ დაეყრდნონ წინა წლის გამოცდილებას, გააზრებული აქვთ, რომ ეს დაეხმარება მათ ახალი სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ყურადღებას გაამახვილებენ კურიკულუმის ყველა საკვანძო ელენენტზე. ასევე იაზრებენ, რომ აუცილებელია ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის როლი ახალი სასწავლო წლის დაგეგმვაში. პასუხისმგებლობის გადანაწილება სასკოლო საზოგადოებაზე.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.3.2.1. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, რაც საშუალებას აძლევთ მოსწავლის მრავალი კუთხით იდენტიფიცირებისას. გამოავლინონ სასწავლო პროცესში გამოყენებული მისი სხვადასხვა უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. სკოლის დოკუმენტაციაში დევს შესაბამისი აქტივობების შეფასების რუბრიკები. კათედრებს წარმოდგენილი აქვთ მრავლფეროვანი რუბრუკები, კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სოლო ტაქსონომიის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკები; მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.3.2.2. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მონაცემთა შეგროვების გამოცდილება არსებობს, ივსება სხვადასხვა ტიპის კითხვარები, ტარდება ინტერვიუები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციის თანახმად, სასწავლო პროცესის ანალიზისთვის მონაცემთა შეგროვება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით მოხდება. მაგ. დაკვირვება, ფოკუს-ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ და სხვა. მონაცემთა ანალიზით მოხდება მოსწავლეთა უნარების დიფერენცირება და სამომავლო ინტერვენციების განსაზღვრა.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.3.2.3. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. წარმოდგენილი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასება განხორციელდეს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის თვითსეფასების განაცხადის თანახმად, მოსწავლეზე დაკვირვება წარიმართება მულტიფაქტორული მიდგომის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით, სხვადასხვა გარემოებებში, რის საშუალებასაც იძლევა დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და არაფორმალური აქტივობები. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ გეგმავენ კურიკულუმებში დიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად, მოხდეს შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების აღნიშნულ მეთოდთან. ასევე შეფასების ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს არსებული სიტუაციის დანახვას მრავალმხრივი კონტექსტიდან და მიზნობრივ შეფასებას.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.3.2.4. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის ჩარჩო*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა*
- *შეფასების ფორმები*
- *ინდ. გეგმები*
- *მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და მათი შეფასება*
- დამრიგებლის პორთფოლიო;
- სსსმ მოსწავლის მონიტორინგი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი, რომელშიც დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კურიკულუმის განხორციელების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრებების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.4.1.1. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს კურიკულუმების მონიტორინგს, ხოლო - სასწავლო წლის ბოლოს კურიკულუმების შეფასებასა და რევიზიას, რის საფუძველზეც შემუშავდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები. წარმოდგენილ კურიკულუმებში უკვე ასახულია დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება, კერძოდ, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოიკვეთა რამ იმუშავა ან არ იმუშავა კარგად, რომელმა აქტივობამ აღძრა მოსწავლეთა ინტერესი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში და ა.შ. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზები.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.4.1.2. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის ჩარჩო*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა*
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კურიკულუმები აგებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. აღნიშნულ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ და უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. სკოლას ამ ეტაპისთვის არ გააჩნია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა აქვს სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიაზე მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის აპირებს მის შემუშავებას. კურიკულუმების შედგენის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილია გამოკითხვის მეთოდით. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესის დროს აღწერილი პროცედურები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

   შესაბამისად ინდიკატორთან 2.1.1.1. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომელიც ჩანს სასკოლო სასწავლო გეგმაში. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა რომ საშუალო საფეხურის საგნების კათედრის წევრები კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, კერძოდ განხორციელებულ პრაქტიკული საქმიანობას, კათედრის წევრები ხვდებიან მოსწავლეებს, მათ მშობლებს, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს და აცნობენ სასწავლო გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს , კომპლექსურ დავალებებს და მათგან მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის შეგენისას. მშობელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართულობა ხდება მშობელთა კრებების, ასევე სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით (ფეისბუქჩატი, რომლითაც ეგზავნებათ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების ბარათები) და მათგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით.

შესაბამისად ინდიკატორთან 2.1.1.2. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე, გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმებს მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების, აგრეთვე მათი ინტერესების გათვალისწინებით. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, მასწავლებლები კათედრაზე თანამშრომლობენ, იზიარებენ გამოცდილებას და ინტერესებს. სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების შესაბამისად, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და ორიენტირებულები არიან მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

შესაბამისად ინდიკატორთან 2.1.1.3. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. თითოეულ კათედრაზე, მასწავლებლები საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის მანძილზე აცნობენ კურიკულუმში ჩამოყალიბებულ პრიორიტეტულ მიმართულებებს. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. საგნობრივი კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო ელექტრონულ სივრცეში და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისათვის. გარდა ამისა, მასწავლებლებს და მშობლებს სოციალური ქსელში აქვთ საერთო, კლასის ფეისბუქ-ჯგუფები, სადაც პერიოდულად ხდება მშობელთა ინფორმირება, სასწავლო საკითხების და კომპლექსური დავალებების გაცნობა მშობლის ბარათის მეშვეობით.

შესაბამისად ინდიკატორთან 2.1.1.4. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- მშობელთა კრების ოქმი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- საგნობრივი კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- თვითშეფასების განაცხადი
- პედაგოიური საბჭოს სამუშაო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სსსმ მოსწავლის მონიტორინგის ფორმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მათი ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული. რაც გამოჩნდა მათ მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. პედაგოგების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, რომელიც თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსი და როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება.

შესაბამისად ინდიკატორთან 2.1.2.1. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. საფეხურის კათედრაზე გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა გააზრებულია ერთი მხრივ, ფუნქციურ უნარებზე, მეორე მხრივ, კი სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებით. გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას, მტკიცებულებად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების ბარათები. მასწავლებელი არჩევს კონტექსტ-მაგალითებს, კომპლექსური დავალების იდეას /პირობას და შესაბამის რესურსებს, დაგეგმილი პროცესი საინტერესო და მიზანმიმართულია, რაც ასევე იძლევა საშუალებას გააქტიურდეს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თითოეული მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნის ან პრობლემის გადაჭრისას გამოამჟღავნოს შემოქმედებითობა. გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მოსწავლის როლი და რეფლექსია მის ხასიათსა და პიროვნებას.

შესაბამისად ინდიკატორთან 2.1.2.2. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები გათვლილია მაღალი, დაბალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს დიფერენცირების სწავლების მეთოდებზე და ჩანს, რომ გააზრებული აქვთ მისი მნიშვნელობა სასწავლო პოზიტიური გარემოს შესაქმნელად, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას და შესაძლებლობეს, სკოლას აქვს შეშუშავებული ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმა სადაც ნათლად ჩანს თუ რამდენად ხელისშემწყობი გარემოა სკოლაში და რამდენად ინკლუზიური გარემო, სადაც ყველა მოსწავლის საჭიროება, ინტერესი და შესაძლებლობებია გათვალისწინებული. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას, მასწავლებლები იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს აქვთ მზაობა სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მოსწავლეებს შესთავაზონ მრავალფეროვანი სტრატეგიები და მეთოდები.

შესაბამისად ინდიკატორთან 2.1.2.3. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლის მიერ წარმოდეგენილ მასალებსა და მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. საშუალო საფეხურის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ნათლად ჩანს თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ მათ აქვთ შეფასების რუბრიკების შედგენის გამოცდილება. იყენებენ ჰოლისტურ შეფასებას, ხოლო განმავითარებელი შეფასებისას თვითშფასებას, ურთიერთშეფასებას, ზეპირ კომენტარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ისინი გეგმავენ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნას, სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

<u>რჩევა: შეიმუშავონ წერილობითი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა საგანში.</u>

შესაბამისად ინდიკატორთან 2.1.2.4. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს წინარე გამოცდილების ანალიზი, პრაქტიკული გამოცდილება, კომპლექსური დავალების განხორციელებისას მიღებული უკუკავშირი, გაკვეთილის რეფლექსია, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, კათედრების კოორდინირებულმა მუშაობამ ხელი შეუწყო გადამუშავებული კურიკულუმის შექმნას. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა მუშაობას სასწავლო პროცესში და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. მასწავლებლები ითვალისწინებენ ხარისხის მართვისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის წევრებისგან და ,,კრიტიკული მეგობრისგან'' მიღებულ უკუკავშირებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მიმდინარე კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსობრივ ნაწილში მოსწავლეთა გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება ცვლილებები, თუმცა აუცილებელია რეფლექსიის/დიაგნოსტირების ინსტრუმენტის შემუშავება/რეალიზება, რათა აღნიშნული ცვლილებების შედეგად მოხდეს მოსწავლის შედეგების ანალიზი სტანდარტის შედეგების მიხედვით.

შესაბამისად ინდიკატორთან 2.1.2.5. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *საგნობრივი კურიკულუმი*
- *სხვადასხვა საგნებში სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები*
- *პროექტების ნიმუშები*
- *შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები*
- *სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების წესი*
- *კომპლექსური დავალების ბარათები მშობლებისათვის*
- *ინდ. სასწავლო გეგმები*
- *რესურსი-12-მათემატიკის-კათედრა*
- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *კათედრის სამუშაო გეგმა;*
- *კათედრის სხდომის ოქმები;*
- *სსსმ-ს მონიტორინგის ოქმები;*
- *სასწავლო ჯგუფების სამუშაო შეხვედრის ოქმი და კოლეგის უკუკავშირი.*
- *სკოლის ავთორიზაციის თვითშეფასების კითხვარი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ამისათვის ირჩევენ შესაბამის სასწავლო მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებს და მეთოდებს. ამით ცდილობენ გაზარდონ როგორც მოტივაცია, ასევე პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმები იძლევა მათ შემოქმედებით ჩართულობას. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

შესაბამისად ინდიკატორთან 2.2.1.1. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციზე და ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას. სკოლას მომდევნო სასწავლო წლისათვის გადაწყვეტილი აქვს, შეძლებისდაგვარად, ყველა საგნის ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების განხორციელება. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს თავაზობენ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომ ე.წ. კონტექსტმაგალითებს (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს.

შესაბამისად ინდიკატორთან 2.2.1.2. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საგნობრივი კურიკულუმი ეფუძნება საგნობრივი სტანტადრტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს, კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც თავის მხრივ განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ. კომპლექსური დავალებები მოსწავლეს სთავაზობს დამაფიქრებელ, მეტაკოგნიტურ კითხვებს, რაც ქმნის საფუძველს მოსწავლემ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი და განსაზღვროს სამომავლო გეგმები. სკოლის თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითრებაზე თვითშეფასების, ურთიერთშეფასების და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის საფუძველზე. პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა.

შესაბამისად ინდიკატორთან 2.2.1.3. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესი, საშუალო საფეხურზე, ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი ცოდნის გარდა ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებისას. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტული ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მოქმედების წესებისა და სტრატეგიების გამოყენებას და ცოდნის მკვიდრ წარმოდგენად ჩამოყალიბებას.

შესაბამისად ინდიკატორთან 2.2.1.4. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. საგნის სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალი. ამ მიზნით საშუალო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თემები/საკითხები/კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

შესაბამისად ინდიკატორთან 2.2.1.5. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრები
- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები
- სასწავლო პროექტები
- კლუბების აქტივობები/დავალებები
- მოსწავლეთა ნამუშევრები, კომპლექსური დავალებები , შემაჯამებლები და მათი ანალიზი
- სტრატეგიული გეგმები
- მოსწავლეთა პრეზენტაციები, მოსწავლეთა პორტფოლიო
- დამრიგებლის ანგარიში;
- გაკვეთილის გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი საშუალო საფეხურის საგნების სამიზნე ცნებები. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა კომპლექსური დავალებების განსახორციელებლად მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები მიემართება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.2.1. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო–სოციალურ და ემოციურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვა. მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გაირკვა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს შიდა სასკოლო პროექტები, რომლებიც ემსაურება მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციური უნარების განვითარებას მიმდინარე პროექტები დაგეგმილია მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე. ტარდება საგნობრივი შეჯიბრები, სადაც მოსწავლეები ერთმანეთს გულშემატკივრობენ, გამოხატავენ თვიანთ პოზიციებს. უმუშავდებათ ემპათიის - სხვათა წარმატების გაზიარებისა და საკუთარი ემოციების თვითრეგულაციის უნარს.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.2.2. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. წარმოდგენილია შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება კათედრებზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ ისიც, თუ როგორ მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი. შერჩეული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები ხელს უწყობს მოსწავლის წინსვლას და ორიენტირებულია მის მხარდაჭერაზე, რაც უქმნის მოსწავლეს სწავლის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას და ზრდის მოტივაციას.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.2.3. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით მოხდება შეფასება და რა შედეგი ექნება მას. მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.2.4. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლას, ცალკე დოკუმენტად, შემუშავებული არ აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების სისტემა, რომლიც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. საშუალო კათედრის ოქმებიდან ჩანს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას არჩეული აქვს მოსწავლეთა შეფასების პირველი მოდელი. დიაგნოსტირება იგეგმება წელიწადში ერთჯერ. მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე შეფასდება კათედრის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრები მუშაობენ მის შექმნაზე. მიუხედავად მეთოდოლოგიის არარსებობისა, ამ მიმართულებით სკოლა ახორციელებს საქმიანობას ურთიერთმონიტორინგის, შედეგების პერიოდული გაანალიზების გზით. ვერიფიკაციის მექანიზმად შეიძლება მივიჩნიოთ წარმოდგენილი მტკიცებულება -საგნობრივი კურიკულუმი, მოსწავლის მიღწევების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, კათედრის ოქმები.

_სკოლამ შექმნას ვერიფიკაციის მექანიზმის მეთოლოგიური გზამკვლევი ან დოკუმენტი , სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ჩართულობით , დაიგეგმოს და ჩატარდეს პედაგოგების პროფესიული განვითარებისთვის შეფასების სისტემის საკითხებზე ტრეინინგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით N 2-350 (28/09/2023) დამტკიცებული აქვს სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი</u>

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემთა, ინფორმაციათა და მტკიცებულებათა სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით . პირადი საქმეების, ელექტრონული ჟურნალის, მასწავლებლის პორტალის და არქივის საშუალებით. აღსაღნიშნავია, რომ საშუალო საფეხურის განმავითარებელი შეფასება ყოველი წლის ბოლოს მოსწავლის პირად საქმეში ინახება, გარდა ამისა სემესტრული განმავითარებელი შეფასებები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. შემაჯამებელი წერების ანალიზები კი ასახულია მასწალებლის პორტალზე, გარკვეული დროის შემდეგ მასალები არქივდება.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.2.6. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო;
- კათედრის ოქმები;
- პროექტები;
- ინდ სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- კომპლექსური დავალებების ფოტოები ;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების რუბრიკების ნიმუშები;
- სსსმ მოსწავლის შეფასების რუბრიკა;
- სოლო ტაქსონომია.
- კოლეგათა ურთიერთდასწრების შეფასების ფორმა;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას, კერძოდ როგორც სასკოლო ასევე საკლასო გარემო ყველა მოსწავლისათვის არის პოზიტიური, თანამშრომლობითი და მეგობრული. ამის დასტურია განხორციელებული სასკოლო პროექტები, ერთობლივი აქტივობები. კათედრებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რომელსაც უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები. ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები. უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, სკოლის ხედვის ნაწილში აღნიშნულია, რომ სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი გზა.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.3.1. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში სასწავლო პროცესში ორიენტირება ხდება მოსწავლეზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. სკოლას გააზრებული აქვს მათი მნიშვნელობა, მოსწავლეთა ჩართულობა და მოსწავლის საჭიროებებისა და პროგრესის მონიტორინგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალო საფეხურზე დაგეგმილია მრავალი აქტივობა არაფორმალური განათლების ხაზით. რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რადგან გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროები და ინტერესები. პედაგოგები ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.3.2. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. საშუალო საფეხურზე დაგეგმილი კურიკულუმები მიზანმიმართულია კოლაბორაციისა და კომუკაციის უნარების განვითარებაზე. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლის პორტფოლიოები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ასევე კათედრის სხდომის ოქმები, კლასის დამრიგებელთა სამუშაო გეგმები, გახანგრძლივებული წრის სამუშაო გეგმები, სადაც ჩანს რომ ისინი მუდმივად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კათედრები გეგმავენ პროექტებს, ღონისძიებებს, გაკვეთილებს, აქტივობებს, არჩევენ რესურსებს, ახდენენ მშობელთა ინფორმირებას და ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა , რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად ახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან (მშობლებთან შეხვედრები), იზიარებს მათ უკუკავშირს და აქვს სიახლეების მაღალი მიმღებლობა.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.3.3. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომელიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას, ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კონტექსტ-მაგალითები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებენ ქცევის წესებს, შეძლებისდაგვარად ცდილობენ სასწავლო სივრცის გამრავალფეროვნებას. კონსტრუქციული უკუკავშირები ხელს უწყობს პოზიტიური საკლასო გარემოს შექმნას.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.3.4. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ
- დაგეგმილი და განხორციელებული გაკვეთილები
- ინტეგრირებული გაკვეთილები
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- სასწავლო გეგმა
- სადამრიგებლო პროგრამები
- სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- პროექტები
- საგნობრივი კურიკულუმი
- კათედრის ოქმები
- მოსწავლეთა ნამუშევრები და მათი შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით ნათელი ხდება, რომ სკოლის ხარისხის ჯგუფის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება დაკვირვება მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. მოსწალეთა შეფასებით ხდება შედეგების გაანალიზება და შემდგომ ინტერვენციების განხორციელება: კომპლექსური დავალების მოდიფიცირება საკითხის, სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, პროდუქტის, რესურსებისა და აქტოვობების ცვლილებით. სკოლაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი გეგმის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება. <u>რჩევები: შემუშავდეს კურუკულუმის შექმნის მეთოდოლოგიის დოკუმენტი სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ფართო ჩარევით; შემუშავდეს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმი;</u>

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.3.1.1. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. თვითშეფასების ნარატივიდან და პედაგოგებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სკოლის ყველა მასწავლებელთან თანამშრომლობით შეიქმნება მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარებასა და მხარდაჭერაზე. მონიტორინგის განხორციელებისას მკაფიოდ განისაზღვრება ანგარიშვალდებულებები, დაიგეგმება მიზნის მიღწევის მექანიზმები. კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენმონიტორინგს, ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორინტირებულ კონსტრუქციულ უკუკავშირს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მუშაობა მიმდინარებს შემუშავებული დებულების მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მხარდამჭერი ჯგუფი წინასწარ შედგენილი გრაფიკით ახორციელებს გაკვეთილზე დასწრებას მთელი წლის განმავლობაში. დაკვირვების განხორციელების შემდეგ ხდება უკუკავშირის მიცემა. სკოლას აქვს კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების და თანამშრომლობის პრაქტიკა .არსებობს „კრიტიკული მეგობრის “ ინსტიტუტი. მასწავლებლისა და დამკვირვებლის რეფლექსიის საფუძველზე, აანალიზებენ ძლიერ და სუსტ მხარეებს. პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.3.1.2. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა საშუალო საფეხურზე სერიოზულად მუშაობს ამ მიმართულებით, გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენ მონიტორინგს, ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორინტირებულ კონსტრუქციულ უკუკავშირს. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი მოიაზრება, როგორც კურიკულუმის განხორციელების მანძილზე გამოვლენილი სირთულეების გაანალიზების და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვის საშუალება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.3.1.3. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- თვითშეფასების კითხვარი;
- სადიაგნოსტიკო შეფასება;
- შინაგანაწესი;
- დირექტორის ბრძანება ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნაზე;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმის შაბლონი;
- მასწავლებელთა ანგარიშები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციით ნათელი ხდება, რომ მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით შეფასება სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე. შეფასებისას აქცენტი კეთდება კომპლექსურებისა და შემაჯამებლების შედეგებზე, მოსწავლეთა მიღწევებზე. მომავალ წელს კურიკულუმის გადამუშავების პროცესში გეგმავენ დაეყრდნონ წინა წლის გამოცდილებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გააზრებული აქვთ, რომ ეს დაეხმარება მათ ახალი სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ყურადღებას გაამახვილებენ კურიკულუმის ყველა საკვანძო ელენენტზე. ასევე იაზრებენ, რომ აუცილებელია ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის როლი ახალი სასწავლო წლის დაგეგმვაში. პასუხისმგებლობის გადანაწილება სასკოლო საზოგადოებაზე.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.3.2.1. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, რაც საშუალებას აძლევთ მოსწავლის მრავალი კუთხით იდენტიფიცირებისას. გამოავლინონ სასწავლო პროცესში გამოყენებული მისი სხვადასხვა უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. სკოლის დოკუმენტაციაში დევს შესაბამისი აქტივობების შეფასების რუბრიკები. კათედრებს წარმოდგენილი აქვთ მრავლფეროვანი რუბრუკები, კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სოლო ტაქსონომიის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკები; მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.3.2.2. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მონაცემთა შეგროვების გამოცდილება არსებობს, ივსება სხვადასხვა ტიპის კითხვარები, ტარდება ინტერვიუები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციის თანახმად, სასწავლო პროცესის ანალიზისთვის მონაცემთა შეგროვება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით მოხდება. მაგ. დაკვირვება, ფოკუს-ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ და სხვა. მონაცემთა ანალიზით მოხდება მოსწავლეთა უნარების დიფერენცირება და სამომავლო ინტერვენციების განსაზღვრა.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.3.2.3. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. წარმოდგენილი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასება განხორციელდეს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის თვითსეფასების განაცხადის თანახმად, მოსწავლეზე დაკვირვება წარიმართება მულტიფაქტორული მიდგომის გათვალისწინებით, სხვადასხვა გარემოებებში, რის საშუალებასაც იძლევა დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და არაფორმალური აქტივობები. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ გეგმავენ კურიკულუმებში დიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად, მოხდეს შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების აღნიშნულ მეთოდთან. ასევე შეფასების ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს არსებული სიტუაციის დანახვას მრავალმხრივი კონტექსტიდან და მიზნობრივ შეფასებას.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.3.2.4. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების ფორმები;
- ინდ. გეგმები;
- მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და მათი შეფასება;
- დამრიგებლის პორთფოლიო;
- სსსმ მოსწავლის მონიტორინგი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი, რომელშიც დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კურიკულუმის განხორციელების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრებების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.4.1.1. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს კურიკულუმების მონიტორინგს, ხოლო - სასწავლო წლის ბოლოს კურიკულუმების შეფასებასა და რევიზიას, რის საფუძველზეც შემუშავდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები. წარმოდგენილ კურიკულუმებში უკვე ასახულია დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება, კერძოდ, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოიკვეთა რამ იმუშავა ან არ იმუშავა კარგად, რომელმა აქტივობამ აღძრა მოსწავლეთა ინეტერსი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში და ა.შ. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზები.

შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.4.1.2. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

04.10.2023

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: